გაზეთი ბევრის, „ვერსიის" ერთი

ვერსია

№25 (1715) 14 — 20 აგვისტო ოთხშაბათი 2024 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

ქურდობა მოხუცთა თავშესაფარში

ვინ და როგორ ჰპარავდა პენსიონერებს დანაზოგს

პუტინის კრიტიკული დღეები



კურსკის ბრძოლების ქრონიკა – როგორ უმტყუნა ნერვებმა ვლადიმერ ვლადიმერის ძეს მთავრობის სხდომაზე

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში და სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები – რა საქმეს იძიებს საქართველოს გენერალური პროკურატურა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

ბინები თბილისში, ძვირფასი სამკაულები და ნახატი – რა ქონებას ფლობს კოალიცია „ძლიერი საქართველოს" ერთ-ერთი წევრი

იურისტ ანა დოლიძის ქონებრივი დეკლარაცია

მეხანძრე-მაშველებმა დაკარგული მთამსვლელის ცხედარი იპოვეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა სვანეთში, მწვერვალ შხელდაზე დაკარგული გარდაცვლილი მთამსვლელის ცხედარი, დაახლოებით, 3 800 მეტრის სიმაღლეზე, კლდოვან ფერდობზე იპოვეს.

სამძებრო-სამაშველო ოპერაციის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს მეხანძრე-მაშველების მიერ, შესაბამისი სპეც-ტექნიკისა და სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენის ჩართულობით, მთამსვლელის ცხედარი გადმოსვენებულია და მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები.

შინაგან საქმეთა მინისტრი დიდგორობის დღესასწაულს დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან, მთავრობის წევრებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, „დიდგორობის“ სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებულ ღონისძიებას დაესწრო.

„დიდგორობის“ სახალხო დღესასწაული თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, დიდგორის ველზე გაიმართა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა შინდისის გმირთა ხსოვნას პატივი მიაგო და 17 გმირის საფლავი გვირგვინით შეამკო

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან, მთავრობის წევრებთან და მოადგილესთან ერთად, შინდისში, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპული 17 გმირის საფლავი გვირგვინით შეამკო და დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგო.

შინდისში დაღუპული მებრძოლების სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი აღევლინა.

2008 წლის 11 აგვისტოს, რუსულ სამხედრო ნაწილთან უთანასწორო შეტაკების დროს, 17 ქართველი ჯარისკაცი გმირულად დაიღუპა.

პოლიციამ გურიაში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული დ.ტ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 8 აგვისტოს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1958 წელს დაბადებულ თ.ს.-ს ფიზიკური დაზიანება მიაყენა. მიყენებული დაზიანების შედეგად, თ.ს. ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

პუტინის კრიტიკული დღეები

ნინო დოლიძე

კურსკის ბრძოლების ქრონიკა – როგორ უმტყუნა ნერვებმა ვლადიმერ ვლადიმერის ძეს მთავრობის სხდომაზე

მითი, რომ რუსეთის არმია უძლეველია, ბოლო დღეებში კიდევ ერთხელ და, ალბათ, საბოლოოდ დაინგრა. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი მონაცემებით, უკრაინის არმია არა მარტო საკუთარ, არამედ, უკვე რუსეთის ტერიტორიაზეც იბრძვის და უფრო მეტიც, პუტინის „საბატონოში“ საკმაოდ დიდი რაოდენობის ფართობი აქვს დაკავებული, როგორც უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტები ამბობენ, კურსკის ოლქის უკრაინელებისგან დაკავება პუტინისთვის – არც მეტი, არც ნაკლები – შოკი იყო. ვლადიმერ ვლადიმერის ძის შოკი, ალბათ, მას შემდეგ უფრო გამძაფრდა, რაც უკრაინელებმა ბელგოროდის ოლქსაც შეუტიეს. იქნება თუ არა ეს ბატალიები რუსეთ-უკრაინის ომისთვის გადამწყვეტი, ჯერ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, თუმცა აქ ხაზგასასმელია აშშ-ის განცხადება. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის მოადგილე ვედანტ პატელმა თქვა, რომ აშშ მხარს უჭერს უკრაინულ ძალებს, რათა რუსეთისგან თავდაცვა შეძლონ

„მე მივცემ ნებას ჩვენს პარტნიორებს უკრაინაში, ისაუბრონ საკუთარ სამხედრო ოპერაციებზე. თუმცა, ზოგადად, ჩვენ მხარს ვუჭერთ უკრაინულ სამხედრო ძალებს, რომ შეძლონ დაიცვან თავი რუსეთის თავდასხმებისგან, რომლებიც მათ საზღვარს კვეთენ. საბოლოოდ, გადაწყვეტილებები იმის შესახებ, თუ როგორ წარმართავს უკრაინა თავის სამხედრო ოპერაციებს, სრულად დამოკიდებულია უკრაინელების გადაწყვეტილებაზე. არაფერი შეცვლილა შეერთებული შტატების პოლიტიკაში საზღვრის მიღმა დარტყმების შესახებ“, – განაცხადა პატელმა.

„უკვე სულ სხვა პოზიციით მივა იქ უკრაინა“, – ამ განცხადებას კი „ბათუმელებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე აკეთებს, რომელიც მიიჩნევს, რომ ზელენსკი მოლაპარაკების მაგიდასთან, შეიძლება, კონკრეტული პირობით მივიდეს და დაკავებული კურსკის რუსეთისთვის დაბრუნების სანაცვლოდ, ხერსონისა და ზაპოროჟიეს გათავისუფლება მოითხოვოს.

„ახლა რუსები ცდილობენ, გარკვეული დანაყოფები, რომლებიც დასასვენებლად იყო ზურგში გაყვანილი როტაციის წესით, გაიყვანონ ამ მიმართულებაზე. არ ვიცი, რამდენად სწრაფად მოახერხებს ამას რუსეთი, რადგან სექტემბერი მოდის თავისი სექტემბერ-ოქტომბრის წვიმებით, შესაბამისად, უკრაინელებს გაუადვილდებათ ამ ტერიტორიების დაცვა. გააჩნია, რამდენის დაცვას გადაწყვეტენ უკრაინელები. არა მგონია, რაც დაიკავეს, მთლიანად იმ ტერიტორიის დაცვა დაიწყონ“, – მიიჩნევს გადამდგარი გენერალი.

* * *

რა იცვლება რუსეთ-უკრაინის ომში კურსკის მოვლენების შემდეგ? – გთავაზობთ „ბათუმელების“ მიერ ვახტანგ კაპანაძესთან ჩაწერილი ინტერვიუდან ამონარიდებს.

– ბატონო ვახტანგ, თქვენი ინფორმაციით, რა ხდება კურსკში, რატომ გადაწყვიტა უკრაინამ ეს შეჭრა?

– ძნელია კონკრეტული მიზეზების თქმა, ვინაიდან უკრაინა საინფორმაციო დუმილს ინარჩუნებს, თუმცა იკვეთება სამი მიზეზი: პოლიტიკური, ოპერატიული და ტაქტიკური. არა მგონია, ამაში სტრატეგიული მიზნები იყოს და ეს სტრატეგიული შედეგის მომტანი იყოს, თუმცა ოპერატიულ დონეზე, ალბათ, მიზანი იყო, რუსების ზეწოლა შეემცირებინათ დონბასის მიმართულებაზე.

ტაქტიკურ დონეზე მიზანი არის ის, რომ დაიკავონ რუსეთის გარკვეული ტერიტორიები. თუ ამის შესაძლებლობა ექნებათ, უკრაინის მცდელობაში შეიძლება ყოფილიყო ჩადებული კურსკის ატომური ელექტროსადგურის აღება, თუმცა ეჭვი მეპარება, ეს შეძლონ.

ეს არის, ასევე, ძალების გამოწვევა ვოლჩანსკისა და ბელგოროდის რაიონიდან, ვინაიდან უახლოესი რაიონია კურსკის მიმართულებასთან, რუსებს, ალბათ, ყველაზე უფრო გაუადვილდებათ იქიდან ძალების გადასროლა, თუმცა ეს ვოლჩანსკს ისევ უკრაინელების ხელში დააბრუნებს.

პოლიტიკური ეფექტი კი არის ის, რომ დასავლეთის რეაქცია არის ძალიან ადეკვატური, მხარდამჭერია ამ მოქმედებასთან. აღნიშნული ტერიტორიის დაკავება გარკვეული დროით მაინც, ძალიან მნიშვნელოვანია. არა მგონია, დიდი ხნით ეს შეძლოს უკრაინამ, ვინაიდან, რაც უკრაინამ აიღო – 350 კვადრატული კილომეტრი, ეს ძალიან დიდი ფართობია. არა მგონია, უკრაინას ეყოს რესურსი ამ ტერიტორიის შესანარჩუნებლად.

იმედი მაქვს, წლის ბოლომდე მოხდება მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომა. უკვე სულ სხვა პოზიციით მივა იქ უკრაინა.

– რა ძალებით, რა რესურსით უტევს უკრაინა კურსკში?

– თუ არ ვცდები, სამი ბრიგადაა ახლა შესული, მეოთხე ბრიგადა მეორე ეშელონშია. უკრაინას ჰყავდა ორი ბრიგადა ზაპოროჟიეში კონტრშეტევისთვის. ეს არ გამოიყენეს, ვინაიდან კონტრშეტევა ვერ განვითარდა. სამი ბრიგადა იყო ასევე მომზადებული სტრატეგიული რეზერვიდან. ეს ხუთი ბრიგადა უკრაინამ გადაისროლა ჩრდილოეთ მიმართულებაზე.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

პუტინის კრიტიკული დღეები

მე-3 გვერდიდან

უკრაინამ საკმაოდ კარგი საინფორმაციო ომი ჩაატარა რუსების შეცდომაში შესაყვანად: რუსები გახარებული იყვნენ, რომ აი, ვოლჩანსკისა და ბელგოროდის მიმართულებაზე შეტევის შედეგად ვაიძულეთ უკრაინელები თავისი რეზერვები გადმოესროლათ ამ მიმართულებაზეო. რუსები ფიქრობდნენ, რომ ეს რეზერვები იყო ზუსტად რუსების შეტევის შესაჩერებლად და აღმოჩნდა სხვა რამ: უკრაინელებმა ეს რეზერვი გამოიყენეს შეტევითი ამოცანების შესასრულებლად, რაც მოულოდნელობა აღმოჩნდა რუსებისთვის.

– რის შეცვლა მოუწევთ ახლა რუსებს?

– გარკვეული ძალების გადაყვანა უკვე ხდება ამ მიმართულებაზე ძირითადი მიმართულებებიდან.

რა თქმა უნდა, რუსების შეტევები გრძელდება დონბასში, კუპიანსკის, ლიმანის, უგლედარისა და ჩასოვ იარის მიმართულებებზე, თუმცა, როგორც უკრაინული წყაროებიდან მოდის ინფორმაცია, რუსების აქტიურობა შემცირებულია.

ახლა რუსები აგროვებენ ძალებს, მოხალისეები მათ აფხაზეთიდან და ოსეთიდანაც მიჰყავთ. მე იმედი მაქვს, რომ ისინი უკრაინის მიწაზე დარჩებიან.

ასევე, რუსები ცდილობენ, გარკვეული დანაყოფები, რომლებიც დასასვენებლად იყვნენ ზურგში გაყვანილი როტაციის წესით, გაიყვანონ ამ მიმართულებაზე. არ ვიცი, რამდენად სწრაფად მოახერხებს ამას რუსეთი, რადგან სექტემბერი მოდის თავისი სექტემბერ-ოქტომბრის წვიმებით, შესაბამისად, უკრაინელებს გაუადვილდებათ ამ ტერიტორიების დაცვა.

გააჩნია, რამდენის დაცვას გადაწყვეტენ უკრაინელები. არა მგონია, რაც დაიკავეს, მთლიანად იმ ტერიტორიის დაცვა დაიწყონ, თუმცა ის, რომ ბრძოლები იქნება და რუსებს ერთი და ორი დღე არ ეყოფათ ამ ტერიტორიების გასათავისუფლებლად, ეს ფაქტია.

აქცენტი ახლა გადატანილია ბელგოროდის მიმართულებაზე ანუ უკრაინელები დაკავებული ტერიტორიების გაფართოებას ცდილობენ. სადაზვერვო და სარეიდო მოქმედებები მიმდინარეობს ახლაც, უკრაინელები არ გაჩერებულან, თუმცა მათი წინსვლა უფრო დაბალი ტემპით ხდება.

– აღნიშნეთ, რომ კურსკის ამბების შემდეგ, უკვე სხვა პოზიციით მივა მოლაპარაკების მაგიდასთან უკრაინა. რა ჩანს ამ გადასახადიდან, რა შეიძლება გახდეს მოლაპარაკების საგანი?

– ძნელია ამის თქმა, თუმცა თუ რუსეთის ეს მნიშვნელოვანი ტერიტორია იქნება უკრაინის ხელში, მოლაპარაკებების ეტაპზე შესაძლებელი იქნება ლაპარაკი ტერიტორიების გაცვლაზე. მე წინასწარ ვერ გეტყვით, ზელენსკი რას გააკეთებს, ერთ-ერთი ვარიანტს გეუბნებით, ჩემი აზრით, შეიძლება ლაპარაკი იგივე ზაპოროჟიეზე. გააჩნია, როდის დაიწყება ეს მოლაპარაკებები, რა ფორმატი იქნება, შემდეგ წავა ვაჭრობა და ვინ რას დათმობს, ამისთვის კი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება უკრაინისთვის მძლავრი მომენტით მისვლა, გამარჯვებულის კუთხიდან მისვლა.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კურსკში ამ შეტევას მორალური თვალსაზრისით. ეს არის პირველი, ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება, ზალუჟნის შემდეგ, უკრაინელების მხრიდან.

ეს მნიშვნელოვანია, როგორც მოსახლეობის, ისე შეიარაღებული ძალების მორალისთვის.

– კურსკის ელექტროსადგურის მნიშვნელობა როგორია რუსეთისთვის, თუ მისი ხელში ჩაგდება მოახერხეს უკრაინელებმა?

– მისი კონტროლი, გამორთვა გამოიწვევს მთლიანად სამხრეთ რუსეთის დაბნელებას,

თუმცა 35 კილომეტრი აქვთ უკრაინელებს იქამდე და რუსებმა დაიწყეს გაძლიერებული დაცვის მოწყობა სადგურის გარშემო, ტანკსაწინააღმდეგო ბეტონის ბოძკინტებია ჩადებული უკვე, გადასროლილია ჰაერსაწი-

დასასრული მე-5 გვერდზე

პუტინის კრიტიკული დღეები

მე-4 გვერდიდან

ნაღმდეგო საშუალებები და ასე შემდეგ. ეჭვი მეპარება, უკრაინამ შეძლოს მის კონტროლქვეშ აყვანა.

– თქვენი დაკვირვებით, კიდევ რა შეიძლება იყოს მოლაპარაკების საგანი, რამდენად შეიძლება დონბასის დათმობა განიხილებოდეს?

– არა მგონია, დონბასი განიხილებოდეს. ჩემი აზრით, განხილული იქნება ზაპოროჟიე ან ხერსონი. ლოგიკურია, რომ უკრაინელებმა მოითხოვონ 2022 წლამდე ტერიტორიების დაბრუნება და ამათ დაუთმოს კურსკი და ასევე, ბელგოროდის ნაწილი, რაც დაიკავეს.

თავის მხრივ, რუსეთი ითხოვს მთლიანად დონბასის ჩაბარებას, ასევე ხერსონისა და ზაპოროჟიეს ადმინისტრაციულ საზღვრებზე გასვლას, მაგრამ რუსეთი რომ ამას ითხოვდა, მას არ ჰქონდა მაშინ დაკარგული კურსკი და ბელგოროდის ნაწილი.

– ამერიკის ომის კვლევის ინსტიტუტის ანალიტიკოსების თქმით, დროებითი ინიციატივა მოიპოვეს უკრაინელებმა. რას ნიშნავს ინიციატივის მოპოვება?

– ინიციატივა არის ის, რომ უკრაინელები უტევენ და მიდიან წინ. უკრაინელები უტევენ და რუსები იძულებული არიან, რომ რეაგირება მოახდინონ უკრაინელების მოქმედებაზე.

– მინდა, გკითხოთ ყირიმზეც. უკრაინის დაზვერვის ცნობით, ოკუპირებულ ყირიმშიც უკრაინული საზღვაო დრონით გაანადგურეს რუსული სადესანტო კატერი. ეს შემთხვევა რას აჩვენებს თქვენთვის?

– აჩვენებს იმას, რომ საერთოდ უუნაროა რუსეთის შავი ზღვის ფლოტი, საერთოდ ვერ იყენებს მას რუსეთი და გადამალული აქვს.

უკრაინელებისთვის უკვე ჩვეულებად იქცა რუსული სამხედრო ხომალდების პერიოდულად დაზიანება ან ჩაძირვა. ეს აჩვენებს რუსების უუნარობას შავ ზღვაზე აქტიური მოქმედებებისთვის და რუსეთის შავი ზღვის ფლოტის უუნარობას, წინააღმდეგობა გაუწიონ ქვეყანას, რომელსაც ფლოტი არ აქვს საერთოდ.

– რა ხდება ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის ტერიტორიაზე, სადაც უკრაინა და რუსეთი ერთმანეთს ადანაშაულებენ ხანძრის გაჩენის გამო? ევროპაში უდიდეს ატომურ ელექტროსადგურს ამჟამად რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი მართავს.

– ხანძარი ლიკვიდირებულია ამ მომენტისთვის. რუსები იძახიან, რომ ეს იყო უკრაინელების დრონებით შეტევა, უკრაინელები კი ამბობენ, რუსებმა თვითონ გაჩინეს თითქოს ხანძარი, საბურავები დაწვესო. ხანძარი გამაცივებელ რეაქტორებთან გაჩნდა... გაგრძელება ამ ამბავს ჯერ არ მოჰყოლია.

– ბოლოს ისევ კურსკზე მინდა გკითხოთ: საითკენ წაიყვანა რუსეთ-უკრაინის ომი კურსკის ამბავმა?

– სტრატეგიულად ამას არაფერი შეუცვლია, თუმცა ეს უდიდესი დარტყმაა რუსეთის იმიჯზე, პუტინის იმიჯზე, რომელსაც აქვს ქვეყნის დამცველისა და გამათავისუფლებლის იმიჯი. ეს ასევე მოითხოვს ძალების გადანაწილებას.

დიდი ალბათობით, წესით, უნდა შეიცვალოს სამხედრო ხელმძღვანელობა, ამხელა ჩავარდნების შემდეგ, რუსეთში. მათ ჰქონდათ ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ უკრაინელების აქტიურობა შეინიშნებოდა, მაგრამ ჩათვალეს, რომ ეს იყო დაცვითი მოქმედებები. მათ ვერ გამოიცნეს უკრაინელების ჩანაფიქრი.

– პასუხი გვექნებაო, რუსმა პროპაგანდისტებმა თქვეს.

იქნება, ალბათ, სადამსჯელო დარტყმები, როგორც ამას აკეთებენ ხოლმე რუსები. კიევში არ გამორიცხავენ, რომ იყოს დარტყმები და დაარტყან უშუალოდ პარლამენტის შენობას.

* * *

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, ამ დღეებში, გავრცელდა თეთრი სახლის მრჩეველის უსაფრთხოების საკითხებში, ჯონ კირბის განცხადება, რომ „პუტინმა დაიწყო ეს ომი და მას შეუძლია, ის დაასრულოს დღესვე“.

მისი თქმით, სანამ რუსეთი უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას არღვევს, ბომბავს და კლავს უდანაშაულო ადამიანებს, მანამდე აშშ უკრაინის გვერდით იდგება.

ჯონ კირბის შეკითხვა კურსკის ოლქში მიმდინარე მოვლენებზეც დაუსვეს, რაზეც მან განაცხადა:

„ეს არის პუტინის ომი უკრაინის წინააღმდეგ და ასე იყო თავიდანვე. და თუ მას რაღაც არ მოსწონს, თუ რაღაც არ აკმაყოფილებს, არის ძალიან მარტივი გამოსავალი – გამოვიდეს უკრაინიდან და შეწყვიტოს ომი“.

კირბიმ, რუსეთის ოფიციალური პირების მტკიცებებს, რომ კურსკის რეგიონში შეტევა დასავლეთის მიერაა კოორდინირებული, პუტინის პროპაგანდა უწოდა.

* * *

ის, რომ კურსკი პუტინისთვის საბედისწეროა და ამის გამო. მას კრიტიკული დღეები აქვს, ერთი „ნიუსიდანაც“ ჩანს.

კერძოდ, 12 აგვისტოს, კურსკის ოლქში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით გამართულ მთავრობის საგანგებო სხდომაზე, რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა ოლქის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელს, ალექსეი სმირნოვს სიტყვა შეაწყვეტინა, როდესაც მან კურსკის ოლქში უკრაინის შეიარაღებული ძალების წინსვლის მასშტაბებზე დაიწყო საუბარი.

სმირნოვი: სიტუაცია ისევ რთულადაა. უკრაინელები რეგიონში 12 კილომეტრის სიღრმეზე არიან, ფრონტის ხაზი 40 კილომეტრის სიგანისაა.

პუტინი: მომისმინეთ, ალექსეი ბორისოვიჩ, სიღრმისა და სიგანის შესახებ თავდაცვის სამინისტრო შეგვატყობინებს. თქვენ სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაზე გვესაუბრეთ და იმაზე, თუ როგორ ეხმარებით ხალხს.

ცნობისთვის: ამავე სხდომაზე, სმირნოვმა თქვა, რომ ამ დროისთვის უკრაინის შეიარაღებული ძალები 28 დასახლებულ პუნქტს აკონტროლებენ.

მოხსენებისას სმირნოვმა აღნიშნა, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალები ოლქში სიგრძეში – 12, ხოლო სიგანეში – 40 კილომეტრით არიან შესულები.

სმირნოვის თქმით, უკრაინის შეტევების შედეგად, 12 მშვიდობიანი მოსახლეა დაღუპული, ამ დროისთვის კურსკის ოლქიდან ევაკუირებულია 121 000 ადამიანი.

გარდა ამისა, ვლადიმირ პუტინმა, რომელიც მთავრობის საგანგებო სხდომას ხელმძღვანელობდა, თქვა, რომ სასაზღვრო რეგიონში კონფლიქტი გრძელდება და „არ არის გამორიცხული, უკრაინა ბრიანსკის ოლქშიც შევიდეს“.

ბინები თბილისში, ძვირფასი სამკაულები და ნახატი – რა ქონებას ფლობს კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ ერთ-ერთი წევრი

იურისტ ანა დოლიძის ქონებრივი დეკლარაცია

მაკა რუხაძე

„ანა დოლიძე, რომელიც მთელი ცხოვრება თაღლითებს, მევახშეებს ვითომ ებრძოდა და ძალიან მემარცხენე, სოციალური მიმართულება ჰქონდა თავის ნიშად, გაუერთიანდა ხაზარაძე მამუკას“, – ასე განაცხადა „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ მას შემდეგ, რაც კოალიციამ „ძლიერი საქართველო“, საარჩევნო გეგმის „ილიას გზა“ პრეზენტაცია გამართა. დიახ, კოალიციაში „ძლიერი საქართველო“, ამ ეტაპზე, გაერთიანებულნი არიან: მამუკა ხაზარაძის „ლელო“, ოპოზიციური გაერთიანება „თავისუფლების მოედანი“, ანა დოლიძის „ხალხისთვის“ და ალეკო ელისაშვილის „მოქალაქეები“. „ვერსია“ ანა დოლიძის ქონებრივ დეკლარაციას გთავაზობთ, თუმცა მანამდე, მისი ბიოგრაფია გავიხსენოთ.

ანა დოლიძის ბიოგრაფია

ქართველი იურისტი, მეცნიერი და ახლა უკვე მომავალი პოლიტიკოსი, ანა დოლიძე დაიბადა 1979 წლის 26 ოქტომბერს, თბილისში. 2002 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; 2004 წელს მიენიჭა ლეიდენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრის ხარისხი (LLM); 2013 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „სასამართლოს მეგობარი საერთაშორისო სამართალში“, მიენიჭა კორნელის უნივერსიტეტის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი; 2002 წელს გაიარა სტაჟირება ჰააგის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში; 2002-2003 წწ. – მუშაობდა ორგანიზაცია – Save the Children – საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის პროგრამის ოფიცერის თანამდებობაზე; 2008-2009 წწ. – იყო ევროპისა და ცენტრალური აზიის პროგრამის Human Right Watch-ის მკვლევარი.

წაკითხული აქვს ლექციები მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში, მათ შორის ნიუ იორკის უნივერსიტეტში, მადრიდის კომპლუტენსეს უნივერსიტეტში, ოქსფორდის უნივერსიტეტში, კემბრიჯის უნივერსიტეტში, ლონდონოს ეკონომიკურ სკოლაში, დიუკის უნივერსიტეტში, ტორონტოს უნივერსიტეტში, ქუინსის უნივერსიტეტში (ჩრდილოეთ ირლანდია), გლაზგოს უნივერსიტეტში; გამოქვეყნებული აქვს ორი წიგნი და ოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და ანგარიში გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულების, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპული სამართლის, საერთაშორისო სამართლის საკითხებზე (ინგლისურ და ქართულ ენებზე); მიღებული აქვს მრავალი პროფესიული სტიპენდია და ჯილდო, მათ შორის, ატლანტიკ ბრიუკეს „ახალგაზრდა ევროპელი ლიდერი“ (2009), იყო კორნელის უნივერსიტეტის სრული სადოქტორო სტიპენდიანტი, ატლანტიური აკადემიის, ნორვეგიის საერთაშორისო ურთიერთბების ცენტრის, კოლუმბიის უნივერსიტეტის და სტენფორდის უნივერსიტეტის, ბრიტანეთის საერთაშორისო და შედარებითი სამართლის ცენტრის მოწვეული მკვლევარი.

2000–2001 წწ. იყო ორგანიზაცია Project Harmony International-ის საქართველოს ოფისში ოჯახური ძალადობის საზოგადოებრივი თანამშრომლობის პროგრამის ასისტენტი, შემდეგ – ამავე პროგრამის კოორდინატორი; 2013-2016 წწ. – დასავლეთ ონტარიოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი (კანადა); 2015 წლის მაისიდან 2016 წლის ივნისამდე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე; 2016 წლის ივნისიდან 2018 წლის იანვრამდე იყო საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი; 2017 წლიდან არის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; 2018 წლის იანვრიდან დაინიშნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად; 2019 წლის ოქტომბერში დააარსა კამპანია „აზარტული თამაშების წინააღმდეგ“; 2020 წლის 22 ივნისს თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა და იმავე წელს, დააფუძნა მოძრაობა „ხალხისთვის“; 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე იყო თბილისის დიდუბისა და ჩუღურეთის მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატი. ანა დოლიძე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორია.

ანა დოლიძის ქონება

საკმაოდ შთამბეჭდავია ანა დოლიძის ქონებრივი დეკლარაცია, რომელიც როგორც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახლა უკვე ყოფილმა და მაშინ ჯერ კიდევ მოქმედმა წევრმა, სულ ბოლოს, 2021 წლის 27 სექტემბერს შეავსო.

დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ ანა დოლიძეს ჰყავს მეუღლე, გიორგი კიზირია და შვილები – ანდრია კაკაბაძე (პირველი ქორწინებიდან) და კრავაი კიზირია. ანა დოლიძს საკუთრებაშია 58 კვ.მ. ფართობის ბინა თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩაზე, რომელიც 2003 წელს შეუძენია, თუმცა ფასი დეკლარაციაში არ მიუთითებია. მისივე საკუთრებაშია 194 კვ.მ. ფართობის საცხოვრებელი სახლი, რომელიც 2016 წელს, 140 000 ლარად შეუძენია.

რაც შეეხება მეუღლეს, დეკლარაციის მიხედვით, გიორგი კიზირიას საკუთრებაშია 476 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები თბილისში, რაც 2020 წელს, 95.2 აშშ დოლარად (?!) შეუძენია... სამწუხაროდ, დეკლარაციაში დაკონკრეტებული არ არის, ეს რა ტიპის გადასახადია და არც შენიშვნაშია დამატებითი ინფორმაცია მითითებული, ამიტომ ჩვენ ვერ „ვიმკითხავებთ“, თუმცა ფაქტია, ინფორმაცია არასრულია და დაკონკრეტება სჭირდება. კიდევ უფრო საინტერესოა კიზირიას სახელზე რეგისტრირებული 392 კვ. მ. ფართობის ბინაც, რომელიც 2020 წელს, 78.4 აშშ დოლარად (?!) შეიძინა. ინფორმაცია არც ამ შემთხვევაშია დაკონკრეტებული. გარდა ამისა, კიზირიასთვის უჩუქებიათ და შესაბამისად, 12.5%-იან წილს ფლობს 555 კვ. მ. ფართობის ბინაში, თბილისში.

ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ანა დოლიძისთვის მეუღლეს 10 000-დოლარიანი სამკაული, 4 000-ლარიანი ნახატი და 2 000-ევროიანი სამკაული უჩუქებია.

ანა დოლიძე რეგისტრირებულია, როგორც ინდივიდუალური მეწარმე, საიდანაც მისი შემოსავალი 11 000 ლარია. მეუღლე, გიორგი კიზირია შპს „ქართული ბაღების“ 50%-იანი წილის მფლობელია, ის აგრეთვე კომპანია „რელიფ ინტერნეიშენალის“ დირექტორიცაა. გიორგი კიზირიას წლიური შემოსავალ 180 000 ლარია, ხოლო ანა დოლიძის წლიური შემოსავალი, უხეში გათვლებით, 85 000 ლარია.

დეკლარაციის მიხედვით, ანა დოლიძის იპოთეკის პროცენტის წლიური გასავალია 36 432 ლარი, ხოლო ანდრია კაკაბაძის სწავლის გადასახადის სახით, 3 000 ლარს იხდის.

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში და სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები – რა საქმეს იძიებს საქართველოს გენერალური პროკურატურა

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

„ვერსია“ აგრძელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იმ ანგარიშების გაცნობას, რომლებშიც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები გამოკვეთა და მიმდინარე წელს, უწყებამ გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნა. ამჯერად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იმ დასკვნას გაგაცნობთ, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა უწყებების მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებს ეხება. აუდიტის პროცესში გაირკვა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ, მთელი რიგი შესყიდვების შესახებ დოკუმენტაცია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში იყო გადაგზავნილი. შესაბამისად, ეს კონკრეტული შესყიდვები აუდიტორებმა ვეღარ შეამოწმეს. აუდიტის დასკვნა ეხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ, 2020-2021 წლებში განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებს.

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში

დავიწყოთ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვაში აღმოჩენილი დარღვევებით. შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს უნდა ახორციელებდეს წინასწარ განსაზღვრული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული კანონის მოთხოვნები (შესაფერისი ინფორმაციის შეგროვება, სათანადო შესწავლა და ანალიზი), რათა სახელმწიფო შესყიდვები უზრუნველჰყოს რაციონალურად და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით.

„რვა შემსყიდველ ორგანიზაციაში შესყიდვის საჭიროებები არ განსაზღვრულა რაციონალური გათვლებისა და ანალიზის საფუძველზე. საჭირო შესყიდვების სწორად და რაციონალურად დასაგეგმად არ იყო ჩამოყალიბებული მართლზომიერი პრაქტიკა. აღნიშნულ პირობებში, აუდიტის ობიექტებზე სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმებს სხვადასხვა დროს, 2020-2021 წლებში, შესაბამისად, 309 და 354 ახალი პოზიცია დაემატა შესყიდვის ახალი ობიექტის სახით, რაც თანხობრივად 874 040 ლარს და 1 118 100 ლარს შეადგენდა, თუმცა შესყიდვის გეგმის თავდაპირველ ვერსიაში არ იყო გათვალისწინებული“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორების დასკვნის მიხედვით ირკვევა, რომ აუდიტის ობიექტებზე შესყიდვების სამსახურების მიერ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შედგენის საკითხისადმი არაჯეროვანი დამოკიდებულების გამო, იქმნებოდა სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის რისკები. გარდა ამისა, აუდიტის ობიექტებში შესყიდვების გეგმებთან მიმართებით, ჯამში 90 030 ლარით გადაჭარბებული საკასო შესრულება დაფიქსირდა, რაც გამოწვეული იყო შესყიდვების გეგმის მართვის პროცესში არსებული არასრულყოფილი კონტროლის მექანიზმებით და სახაზინო გადარიცხვების დროს დაშვებული შეცდომებით.

დარღვევები ბაზრის კვლევაში

კანონის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია მოქმედი კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით, ვალდებული იყო ჩაეტარებინა ბაზრის კვლევა, რომლის შედეგებსაც გაითვალისწინებდა შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შედგენისას.

„ორ შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის დროს, ბაზრის კვლევა არ ჩატარებულა, ან ჩატარებული კვლევა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. აღნიშნული გარემოება არ ემსახურებოდა პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნებს. ბაზრის არასათანადო კვლევის შედეგად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არასწორად იყო განსაზღვრული. პროცესი არ იყო ფორმალიზებული და ვერ დგინდებოდა, რომელი მეთოდით ხდებოდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა. 2021 წლის 6 დეკემბერს, იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის სხვადასხვა სახის 11 642 ლარის სამშენებლო მასალების შესასყიდად. დადგინდა, რომ სავარაუდო ღირებულება დასაბუთების გარეშე განისაზღვრა ბაზრის კვლევის ეტაპზე მოწოდებულ მინიმალურ ფასებზე 1 400 ლარით მეტი ღირებულებით. აღნიშნულით არ იქნა დაცული ეკონომიურობის პრინციპი“.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ, 2021 წლის 12 თებერვალს, გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ბალანსზე რიცხული 9 ერთეული ავტომანქანის შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 983 388 ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა, მათ შორის, მინიმალური შეთავაზების ღირებულება 269 094 ლარი იყო, რაც შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე 714 294 ლარით ანუ 72%-ით ნაკლები გახლდათ.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ობიექტებზე შესყიდვების სამსახურის მიერ საქმისადმი არაჯეროვანი დამოკიდებულებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის პირობებში, სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის რისკები იქმნებოდა.

ხარვეზები და ინტერესთა კონფლიქტი ტენდერებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ 2020 წლის 7 თებერვალს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ავტომანქანის შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებაზე. სატენდერო პირობებში წარმოდგენილი მოთხოვნის მიხედვით, პრეტენდენტს, მინიმუმ, ერთი სერვის-ცენტრი მაინც უნდა ჰქონოდა 5 კმ-ის რადიუსში.

„ამ შეზღუდვის გამო, ტენდერში მონაწილეობა არავის არ მიუღია, შესაბამისად, ტენდერი არ შედგა. მოგვიანებით, როდესაც ტენდერის ხელმეორედ გამოცხადებისას, რადიუსად 7 კილომეტრი განისაზღვრა, ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა. 2021 წელს გამოცხადდა ტენდერი იმავე მომსახურებაზე, სადაც მდებარეობის დაშორების შეზღუდვა არ იყო მითითებული. შედეგად, ტენდერში ხუთმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა და შესყიდვა განხორციელდა კონკურენტულ პირობებში. შესაბამისად, სატენდერო პირობების არარაციონალურად ჩამოყალიბებამ გამოიწვია ის, რომ ერთ შემთხვევაში, ტენდერი არ შედგა, ხოლო მეორე შემთხვევაში, ტენდერი ჩატარდა არაკონკურენტულ გარემოში“.

გარდა ამისა, უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 20 აგვისტოს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ავტომანქანის ძრავის შეკეთებაზე. ამ ტენდერშიც მითითებული იყო მოთხოვნა, შემსყიდველის 7 კმ-ის რადიუსში განლაგებაზე. მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრედენდენტმა, შესაბამისად, ტენდერი ჩატარდა უკონკურენტო გარემოში.

2021 წლის 12 აგვისტოს, განათლების სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი მობილური აპლიკაციის – „აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის“ შესყიდვაზე. ტენდერი შეწყდა სატენდერო დოკუმენტაციის არასწორად შედგენის გამო. კერძოდ, სატენდერო დოკუმენტაციის შედგენისას დაშვებულ იქნა ტექნიკური ხარვეზი და ვერ განხორციელდა სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი პუნქტის სწორი ფორმულირება.

„2020 წლის 26 ნოემბერს, სსიპ „კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტომ“ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ბეჭდვით მომსახურებაზე, რომელიც სატენდერო პირობების არასწორად წარმოდგენის შედეგად, კომისიის გადაწყვეტილებით შეწყდა. კონკრეტულად, სატენდერო კომისიის წევრმა სატენდერო კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, სადაც აღნიშნული იყო მოთხოვნა გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში დაშვებული ტექნიკური შეცდომის შესახებ. კერძოდ, წინადადების მიღება 2021 წლის 4 იანვარს არ შეესაბამებოდა რეალობას, შესაბამისად, „ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების“ სახელმწიფო შესყიდვა ვერ განხორციელდებოდა აღნიშნული თარიღის პირობებში“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

დასასრული მე-8 გვერდზე

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში და სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები – რა საქმეს იძიებს საქართველოს გენერალური პროკურატურა

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ განათლების სამინისტროს მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვებში შერჩეული 30 შემთხვევიდან, 26 შემთხვევაში, ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ ხელწერილებზე წარდგენილი იყო მხოლოდ განათლების სამინისტროს შტამპი (ხელმოწერა), ხოლო უშუალოდ შესყიდვის პროცესში მონაწილე პირების ხელმოწერები არ ფიქსირდებოდა.

„კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვებში შერჩეულ 32 შემთხვევაში, ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ ხელწერილებზე წარდგენილი იყო სააგენტოს დირექტორის ხელმოწერა, ხოლო შესყიდვების კოორდინატორის ხელმოწერა არ ფიქსირდებოდა.

დევნილთა სამინისტროს მიერ, 2020-2021 წლებში განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვებში შერჩეული 60 შემთხვევიდან, 36 შემთხვევაში, ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ ხელწერილებზე წარდგენილი იყო მხოლოდ სამინისტროს შტამპი (ხელმოწერა), ხოლო შესყიდვების მიმართულებით დასაქმებული პასუხისმგებელი პირების ხელმოწერა არ ფიქსირდებოდა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ სატენდერო პირობების განსაზღვრაში დაშვებული შეუსაბამობების გამო, ვერ იქნა უზრუნველყოფილი სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა. მოქმედი კანონის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობითა და არასათანადო კონტროლის მექანიზმების არსებობის გამო, შეიქმნა ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის რისკები.

ხარვეზები შესრულებული სამუშაოს ხარისხში

სახელმწიფო აუდიტის მიხედვით ირკვევა, რომ შესაბამისი ხელშეკრულებებით შესრულებულ სამუშაოებზე მოქმედებს საგარანტიო ვადები, თუმცა შემსყიდველ ორგანიზაციებს გონივრულ ვადებში არ აღმოუჩენიათ ხარვეზები და არ გაუტარებიათ სათანადო ღონისძიებები მათი აღმოფხვრის მიზნით. 11 შემთხვევაში გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა, რაც უკავშირდებოდა სამუშაოების უხარისხოდ და არასრულად შესრულებას. ამ ობიექტებზე, 4 100 ლარამდე სამუშაოების შესრულება არ დადასტურდა.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, სსიპ „დევნილთა მომსახურების სააგენტომ“ მხოლოდ სამუშაოების დასრულების შემდგომ მიმართა სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ ფაქტობრივად განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის შესათანხმებლად. აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირდა არსებითი სახის ხარვეზები და დამატებითი შეთანხმებით სახელშეკრულებო ღირებულება, შესაბამისი დანართის გარეშე, გაიზარდა 19 000 ლარით, 217 000 ლარამდე.

„სადეზინფექციო მომსახურების ჩატარების მიმდინარეობისას, ობიექტების სადეზინფექციო სამუშაოების პარალელურად ახორციელებდნენ ფართების აზომვებს, თუმცა აზომვების დამადასტურებელი აქტები წარდგენილი არ ყოფილა. სამუშაოების ჩატარება არ დადასტურებულა აქტით – შესრულებულ სამუშაოებზე ფორმის მიხედვით, რაც მიანიშნებს, რომ არ შესრულდა სატენდერო დოკუმენტაციის პირობები. სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით, არასრულყოფილად შედგენილი აქტების, მითითებული ვადების გათვალისწინებით და ჩატარებული სამუშაოების საეჭვო მოცულობებიდან გამომდინარე, ფიქსირდება 107 750 ლარის საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკები“.

პროკურატურაში გადაგზავნილი მასალები

ახლა, ვნახოთ, კონკრეტულად რა მასალებია გადაგზავნილი საქართველოს გენერალურ პროკურატურაში და კონკრეტულად რას იძიებს პროკურატურა.

2021 წელს, სსიპ „პროგრამებისა და სერვისების სააგენტოში“ განხორციელდა სულ 139 სახელმწიფო შესყიდვა და გაიხარჯა 469 702 ლარი. კერძოდ, ათი კონსოლიდირებული შესყიდვა – 20 137 ლარის საკასო ხარჯით; სამი ელექტრონული ტენდერი – 178 281 ლარის საკასო ხარჯით; 126 გამარტივებული შესყიდვა (ერთ პირთან მოლაპარაკება) – 271 283 ლარის საკასო ხარჯით.

„აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულყოფილად შეუსრულებლობის პირობებში (2 ელექტრონული ტენდერი და 39 გამარტივებული შესყიდვა) მიმწოდებლებზე გადარიცხულმა თანხამ, ჯამში, 314 971 ლარი შეადგინა, რაც სულ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებით გახარჯული თანხის 67.1%-ია. ამ თანხიდან ფიქსირდება: მატერიალური ფასეულობების დანაკლისი – 156 257 ლარი; შეუსრულებელი მომსახურება და სამუშაოები – 25 798 ლარი; დასაზუსტებელი სამშენებლო სამუშაოების მოცულობა (მიმდინარეობს საქართველოს პროკურატურის მიერ დანიშნული ექსპერტიზა) – 132 916 ლარი“.

ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ფინანსთა სამინისტროს მიერ (7 წერილით), უკვე გადაგზავნილია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება, ხოლო ორ შემთხვევაში – გამოტანილია საქართველოს გენერალური პროკურატურის დადგენილება, სააგენტოს დაზარალებულად ცნობის შესახებ. აუდიტის პროცესში არ იყო შესაძლებელი საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება 2021 წელს პროგრამების სააგენტოში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნების გამოსატანად.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას 2021 წელს პროგრამების სააგენტოში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე.

სამართალი

№25 14 აგვისტო 2024 წ

ქურდობა მოხუცთა თავშესაფარში

ვინ და როგორ ჰპარავდა პენსიონერებს დანაზოგს

ბათო ჯაფარიძე

ადრე ასე იყო, მოხუცთა თავშესაფარში მშობლების გაშვება არავის მოსწონდა, არავინ იწონებდა, ყველა კიცხავდა შვილებსა თუ შვილიშვილებს მოხუცების მოშორებისთვის, თუმცა ახლა, თითქოს, სიტუაცია შეიცვალა, თითქოს, ხალხი შეეგუა იმ აზრს, რომ ეს „არ ტეხავს“. ეგებ, მოხუცსაც იქ ურჩევნია, თავისი ასაკის ხალხთან ურთიერთობისთვის, ზოგადად, ცხოვრებისთვის, თუმცა სხვაობა აქაც არის – მოხუცთა თავშესაფრები განსხვავებულია. არის ისეთი, სადაც მოხუცებს თან ჰყვებიან, იქ თვეში ერთი მოხუცის შენახვა 1500 ლარამდე ჯდება და არის ისეთიც, სადაც საკვების პრობლემაც კი დგას და მოვლა-პატრონობაც ცოტა ნაკლებია. ასეა თუ ისე, კაცია და გუნება, ვიღაცა ეგუება იმ აზრს, რომ დედას, მამას, ბებიასა თუ პაპას მარტივად მოიშორებს და მოხუცთა თავშესაფარში გაუშვებს, არის კატეგორია, რომელსაც ეს ვერ წარმოუდგენია და ცოდვა გამხელილი სჯობს, მეც ამ კატეგორიას ვეკუთვნი – მშობელი, ბებია თუ პაპა, რაც შეიძლება, დიდხანს უნდა გყავდეს გვერდით, ბოლომდე უნდა გყავდეს და უმრავლეს შემთხვევაში, ვერავინ მოუვლის მოხუცს ისე, როგორც შვილი ან შვილიშვილი.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი მოხუცთა თავშესაფრიდან დარეკეს გამომძიებელთან და დახმარება ითხოვეს. მოხუცი, ვინც გამომძიებელს დაურეკა, მისი შვილის ახლო მეგობარი იყო და გამომძიებელს სთხოვა, ეგებ, მინახულო, შენი ხელი გვჭირდებაო. გამომძიებელი არც დაფიქრებულა, ისე გაემგზავრა მოხუცთა თავშესაფარში, რადგან ეს ქალი მისთვის უცხო არ იყო, ახსოვდა, ბავშვობაში როგორ უმასპინძლდებოდა ტკბილეულით, როგორ აჭმევდა საკუთრი ხელით გამომცხვარ ნამცხვარს... მეგობარსაც კი ეჩხუბა, დედა მოხუცთა თავშესაფარში რატომ გაუშვიო, მაგრამ შემდეგ, როცა პირობები იხილა, აღარაფერი თქვა, თუმცა გულში მაინც სჯეროდა, რომ თავად ასე არასდროს მოიქცეოდა.

„ახლა, რა ხდება ჩემო შვილო. ჩვენ, პენსიონერებს, პენსია ხომ გვერიცხება და ცოტ-ცოტას ვინახავთ, ცოტ-ცოტას ვხარჯავთ. აი, ნამცხვარი რომ ვიყიდოთ, კანფეტი... ან რა ვიცი, რამე თუ დაგვჭირდება ისეთი, რაც აქ არ გვაქვს. დავაბარებთ ხოლმე ჩვენს „ზავხოზს“, ის დადის ქალაქში ყოველდღიურად და მოაქვს ყველაფერი. ჰოდა, ახლა ყველას ეკარგება ფული. მთლიანად არა, მაგრამ მსხვილი კუპიურები ქრება და წარმოდგენა არ გვაქვს, ვის მიაქვს. აქ კამერები არ არის დამონტაჟებული, არც საკეტები აქვს ოთახებს, ვინ დაკეტავს, ან რატომ უნდა დაკეტოს, არავინ არავის უვარდება, არაფერია მოსაპარი ფულის გარდა, მაგრამ აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, რომ ფული დაკრგულიყო, ახლა კი იკარგება და ამ დღეშია ყველა“, – თქვა მოხუცმა.

გამომძიებელი უსიამოვნოდ შეიშმუშნა. ის კარგად მიხვდა, რომ ფულის ქურდი ან მოხუცებს შორის უნდა ეძებნა, ან თანამშრომლებში და ორივე შემთხვევაში, უხერხულობის მომენტი შეიქმნებოდა, თანაც არ იცოდა, ვისთვის რა ეთქვა და საიდან დაეწყო, ეჭვმიტანილი იყო ყველა, თუმცა ფულს ხომ მობინადრეები კარგავდნენ და ეგებ, დამნაშავე ის იყო, ვინც არ კარგავდა? ამიტომ, ჯერ ის იყო გასარკვევი, ვის პარავდნენ ფულს და ვისთვის არ მოუპარავთ? სხვა გზა არ იყო, გამომძიებელი დაწესებულების დირექტორთან მივიდა და მიხვდა, რომ ვინ, ვინ და, დირექტორი საქმეში ნამდვილად არ იყო და ფულს არ მოიპარავდა. ამიტომ, მასთან გახსნილად საუბარიც შეიძლებოდა და ვერსიების განხილვაც, რასაც ის სიხარულით დათანხმდა, აქაოდა, თუ ქურდს ვერ დავიჭერთ, სახელი გაგვიფუჭდება, მოხუცებს კი არა, ორ ბატს არ გვანდობს არავინ მოსავლელადო და მართალიც იყო. მოხუცების პატრონები საქმის გამოძიებას კატეგორიულად ითხოვდნენ.

„როგორია, რომელიმე მოხუცზე ეჭვი მიიტანო? ისინი მთელი დღეები ერთმანეთს ხომ მხოლოდ იმას უმტკიცებენ, როგორი პატიოსნები იყვნენ მთელი ცხოვრება, როგორ ღირსეულად იცხოვრეს, ახლა კი... არ ვიცი, რა იქნება და როგორ იქნება, მაგრამ საქმე უნდა გამოვიძიოთ. მე დაგეხმარებით ყველაფერში, რასაც დამავალებთ, ყველაფერს შევასრულებ“, – განაცხადა დირექტორმა.

გამომძიებელს იმ მოხუცების სია სჭირდებოდა, რომლებიც ფულის დაკარგვაზე არ ჩიოდნენ. ასეთი შვიდი მოხუცი აღმოჩნდა, ოთხის ამბავი გასაგები იყო, მათ საპენსიო ბარათები არ ჰქონდათ – შვილები ან შვილიშვილები იღებდნენ პენსიას, ის სამი კი, უბრალოდ, აგროვებდა, კაპიკს არ აკლებდა და ამბობდა, ეს ჩვენი დასამარხი ფულიაო. გამომძიებელმა გადაწყვიტა, მათი ოთახები ჩუმად შეემოწმებინა, ენახა, რა თანხა ჰქონდათ მოგროვებული, როგორც წესი, პენსია მოჭრილი თანხაა და აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა – ყველა მათგანს ფული ბარათზე ჰქონდა, ბარათი – ოთახში და შესაბამისად, ქეში ერთსაც არ გააჩნდა ანუ ისინი ფულს არ იპარავდნენ. ძალოვანმა ორ ოპერმუშაკს გამოუძახა, დირექტორს სთხოვა, მოხუცები გაართე, ყველას ოთახი უნდა შევამოწმოო და მართლაც, შეამოწმა. საინტერესო ის იყო, რომ ოთახების სიმცირის მიუხედავად, თითქმის ყველას თანხა საგულდაგულოდ ჰქონდა შენახული და გადამალული ანუ მათი პოვნა იოლი არ იქნებოდა, თითო სამალავის მოსაძებნად, ათი წუთი მაინც იყო საჭირო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ნებისმიერ დროს, შესაძლოა, ოთახში რომელიმე მისი ბინადარი შესულიყო და კითხვებიც გაჩნდებოდა, მაგრამ არავინ, არავის, არასდროს დაუჭერია. გამოდიოდა, რომ დამნაშავეს ან თანამზრახველი ჰყავდა, ან ზუსტად იცოდა, ფულს ვინ სად ინახავდა, მაგრამ... რატომ გათქვამდნენ მოხუცები თავის საიდუმლოს, ან როგორ ჰკითხავდა ქურდი, ფულს სად ინახავო? გამომძიებელიცა და ოპერმუშაკებიც დაბნეულები იყვნენ.

„როცა ერთხელ დავკარგე ფული, მერე სამალავი შევცვალე, ბოლოს კი, ფული ისეთ ადგილზე დავდე, მეგონა, მის მონახვას ვერავინ შეძლებდა, მაგრამ ქურდმა მაინც მიაგნო. ბოდიში, შვილო, მაგრამ საცვალს ნაჭერი მივაკერე, იმ ნაჭერში ჩავდე და ისე შევინახე სხვა საცვლებთან ერთად. ჰოდა, მაინცდამაინც ის იყო აღებული და ფულიც აღარ დამხვდა. არ ვიცი, რა ვიფიქრო, ამიტომ დაგიძახე შენ და შენ თუ ვერ მიშველი, სხვა საერთოდ ვერ მიშველის“, – წუწუნებდა მოხუცი.

გამომძიებელი ხვდებოდა, რომ საქმე მარტივი არ იქნებოდა და დირექტორს უთხრა, ეგებ, ჩუმად ვიდეოთვალი დავაყენოთ ყველა ოთახშიო და ისიც დათანხმდა, თუმცა ეს მარტივი გასაკეთებელი არ იყო. ვიდეოთვალის მონტაჟს დრო და შესაბამისი სპეციალისტი სჭირდებოდა, ამდენი ხნით კი, მოხუცების გარეთ გაყვანა წარმოუდგენლად ჩანდა. რაც მთავარია, ვიდეოთვალის შესახებ, დირექტორის გარდა, არავის, აბსოლუტურად არავის უნდა სცოდნოდა. გადაწყდა, კონცერტი გაემართათ და მოხუცები ორი საათით სააქტო დარბაზში გამოეკეტათ, რაც ძალოვნებს შესაძლებლობას მისცემდა, მშვიდად ემუშავათ. მომღერლის ჩამოყვანა გამომძიებელმა ითავა და რესტორნის ნაცნობ მომღერალს სთხოვა, მიშველე და რაც მთავრია, ისე უნდა იმღერო ორი საათი, არცერთმა მოხუცმა საქტო დარბაზიდან ფეხი არ მოიცვალოსო. ასეც მოხდა, კონცერტი „ანშლაგით“ ჩატარდა, მოხუცები კარგად გაერთნენ და ერთმაც არ იცოდა, რომ მათ ოთახებში ვიდეოთვალები დაამონტაჟეს.

სამი დღის განმავლობაში, საინტერესო არაფერი მომხდარა, მეოთხე დღეს კი მაშინ, როცა მოხუცები სადილისთვის იყვნენ გასულები, ერთ-ერთი ოთახის კარი გაიღო და იქ „ზავხოზი“ შევიდა, რომელსაც ხელში კატა ჰყავდა. კატა იატაკზე დასვა და დაახლოებით ათ წამში, კატა კარადის კარს ეცა, მამაკაცმა კარი გააღო, კატა შიგნით შეხტა, მესამე თაროზე აძვრა და კაცმაც იქიდან ფული აიღო, იგივე გააკეთა კიდევ ორ ოთახში, ფულს კატა პოულობდა და მრავლისმნახველი გამომძიებელიც კი, ამ სანახაობას პირდაღებული უყურებდა. როგორ? რანაირად? რა თქმა უნდა, ფულის ქურდი დაიკავეს. მართალია, ის თავიდან ყველაფერს უარყოფდა, მაგრამ როგორც კი ჩანაწერები ანახეს, მიხვდა, რომ ვერ გამოძვრებოდა და მოყოლა დაიწყო.

„კარგად იცით, კატაბალახას წვეთებზე კატა როგორ რეაგირებს. ჰოდა, ეს იდეაც მაშინ მომივიდა თავში, როცა მოხუცებმა მაღაზიიდან რაღაცების მოტანა მთხოვეს. ხურდას ხომ ვუბრუნებდი, სწორედ, იმ კუპიურებს წავუსვი კატაბალახას წვეთები და რომ დავუბრუნე, ეჭვი არავის აუღია, აქ ხომ ყველას ეს წვეთები უდევს ჯიბეში იმისთვის,რომ საჭიროების დროს მიიღონ, შესაბამისად, არც სუნი ეუცხოვათ. მერე, იმ კუპიურებს ხომ დანარჩენებთან ინახავდნენ. მერე კატა შემყავდა და მაშინვე ნახულობდა. რატომღაც მგონია, რომ ამათ აქ ყველაფერი აქვთ და ფული, უბრალოდ, არ სჭირდებათ“, – განაცხადა დაკავებულმა.

მოხუცებს თანხა თითქმის სრულად დაუბრუნდათ, მათივე გადაწყვეტილებით, საქმეს ოფიციალური მსვლელობა არ მიეცა და „ზავხოზი“, უბრალოდ, სამსახურიდან გაათავისუფლეს.

საქმროსგან მიტოვებული გოგოს შურისძიება

მანქანის საბარგულში ნაპოვნი თავგატეხილი ქალის ისტორია

ბათო ჯაფარიძე

„ქალების შურისძიება“ – ამ ტერმინს მამაკაცები ხშირად აგდებულად ამბობენ ხოლმე, მაგრამ მერწმუნეთ, გულის სიღრმეში ყველამ ზუსტად იცის, რომ თუ ქალმა შურისძიება მოინდომა და „თავზე ხელი აიღო“, შეიძლება, უსასტიკესიც იყოს. ქალების ფანტაზიას საზღვარი არ აქვს და თუ შურისძიებას გადაწყვეტს, შესაძლოა, ისეთი რამ მოიფიქროს, რაც კაცს თავში აზრად არასდროს მოუვა. ამიტომ, არ აწყენინოთ ქალებს და არ მოატყუოთ ისინი, თორემ მერე, შესაძლოა, ყველაფერი სანანებელი გაგიხდეთ და დროის უკან დაბრუნებას ინატრებთ.

ის, რაც საქართველოს ერთ-ერთ დიდ ქალაქში მოხდა, იმიტომ არ გახმაურდა, რომ საქმეში პოლიციის მაღალჩინოსანი ფიგურირებდა. მაშინ, პოლიცია ჯერ კიდევ ახალი შექმნილი იყო და იმჟამინდელი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა, რომ ამ ორგანოს პრესტიჟი აეწია, ხალხის ნდობა მოეპოვებინა, რაც საწყის ეტაპზე, მოახერხეს კიდეც, მაგრამ შემდეგ პოლიცია პოლიტიზებული გახდა და ნდობა არათუ დაკარგა, არამედ, ლამის, გაანულა.

მოკლედ, პოლიციის მაღალჩინოსანი სამსახურში მივიდა, არ მოეწონა, რომ ყველა ადგილი სხვა მანქანებს ჰქონდათ დაკავებული, მანქანა ეზოს გარეთ გააჩერა და პოლიციის ეზოში ფეხით შევიდა, მორიგეს უთხრა, ეზოში მხოლოდ ჩვენი თანამშრომლების ავტომობილები უნდა იდგეს, ამიტომ ყველა მოქალაქეს უთხარი, მანქანები ეზოდან გაიყვანონო. რაღა თქმა უნდა, მორიგემ თავი დაუქნია და ხმამაღლა გამოაცხადა, რიგითმა მოქალაქეებმა ეზო მანქანებისგან გაათავისუფლეთო, მაღალჩინოსანი კი გარეთ გავიდა და ავტომობილში ჩაჯდა, რათა თავისუფალ ადგილზე დამდგარიყო. ამ დროს, ერთ-ერთმა მოქალაქემ მანქანა ისე დაძრა, რომ მაღალჩინოსნის ავტომობილს გვარიანად გაუსვა. რა თქმა უნდა, იქ ამბავი ატყდა, მტერს და ავს, მაღალჩინოსანი აყვირდა, მოქალაქემ უღონოდ ჩამოუშვა ხელები, მიხვდა, ვერსად გაიქცეოდა და მარტო მანქანის გაკეთებას თუ აკმარებდნენ, ბედნიერიც იქნებოდა. მთელი განყოფილება გარეთ გამოვიდა და რა თქმა უნდა, ყველა ძალოვანი უფროსის მხარეს იჭერდა, თუმცა ეს არც იყო აუცილებელი, მოქალაქე ისედაც ხვდებოდა, რომ მისი ბრალი იყო და მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებდა – გავაკეთებ, გავაკეთებ, გავაკეთებ.

მაღალჩინოსანმა ერთ-ერთ თანამშრომელს დაავალა, ამას საბუთები ჩამოართვი, გაიგე, ვინ არის, სიმთვრალეზეც შეამოწმეთ და მომახსენეთო. თავად კი, მანქანის საბარგული გახსნა, ცოლმა სადილი გამომატანაო და... გაოცებისგან ყველამ პირი დააღო, ქალებმა კი, შეჰკივლეს კიდეც. საბარგულში ახალგაზრდა ქალი იწვა, რომელსაც ხელებზე ბორკილები ედო, თავიდან კი სისხლი სდიოდა. ის უგონო მდგომარეობაში გახლდათ, მაღალჩინოსანიც დაიბნა და მხოლოდ მორიგემ მოახერხა თქმა, სასწრაფოს უნდა გამოვუძახოთო. გამოძახების ადგილის გათვალისწინებით, სასწრაფო დახმარების მანქანა მალე მივიდა.

„ტრავმა ძალიან სერიოზულია და როგორც მივხვდი, ცეცხლმაქრი აქვს თავში ჩარტყმული, რადგან ცეცხლმაქრის ძირზე, რომელიც თქვენს მანქანაშია, სისხლი და მისი თმაა შერჩენილი“, – ჩუმად უთხრა ექიმმა მანქანის პატრონს. ცეცხლმაქრი ცალკე ისტორია იყო, ის მაღალჩინოსანს მეგობარმა აჩუქა და მანაც საბარგულში ჩააგდო. ძირი უცნაური ჰქონდა, მომრგვალებული კი არა, კუთხიანი, ძველებურ ცეცხლმაქრებს რომ ჰქონდათ და სწორედ ამ კუთხეზე იყო შერჩენილი თმა და სისხლი. გონდაკარგული გოგო საავადმყოფოში გადაიყვანეს, პოლიციის მაღალჩინოსანი კი სამინისტროში გამოიძახეს. რა თქმა უნდა, ის არ დაუკავებიათ, რადგან ყველა ხვდებოდა, რომ რაღაც ისე არ იყო და ამას თავად ეჭვმიტანილიც ხსნიდა.

„ვთქვათ, ის გოგო მე ჩავტენე მანქანაში, ვთქვათ, გავგიჟდი და მოვიყვანე სამსახურში, უფრო გავგიჟდი და ეზოში დატოვება მინდოდა მანქანის, მაგრამ ადგილი არ იყო და მერე, როცა ირგვლივ 30-მდე ნაცნობი თუ უცნობი ადამიანი მედგა, საბარგული გავხსენი, ცოლის გამოტანებული სადილი რომ ამეღო და ყველას დავანახე, როგორ მყავს მანქანაში ჩატენილი ქალი და რა გამოდის, ჩემი ხელით გამოვიჭერი ყელი“, – ამბობდა მაღალჩინოსანი და მართალიც იყო. ამას არავინ გააკეთებდა და ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ეს ყველაფერი „გაუჩალიჩეს“, მაგრამ რატომ, რისთვის? თითქოს ასეთი მტრები არ ჰყავდა.

ამასობაში, საავადმყოფოდან ინფორმაცია მოვიდა, რომ გოგონა კომაში იყო და მისი გადარჩენის საკითხი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. გაარკვიეს მისი ვინაობაც და ოჯახის წევრების სანახავად, გამომძიებელთან ერთად, მაღალჩინოსანიც წავიდა.

„წარმოდგენა არ გვაქვს, ვის შეიძლებოდა ეს მოეწყო და გაეკეთებინა. გვესმის, რომ თქვენ ამას არ იზამდით, მაგრამ მაშინ, ვინ? მით უმეტეს, ამბობდა, რომ საქმრო ჰყავდა, რომელიც ჩვენთვის ერთი კვირის წინ უნდა გაეცნო, მერე თქვა, არ სცალიაო, მერე დაძაბული დადიოდა, თითქოს, რაღაც არ იყო რიგზე“, – ამბობდა დაზარალებულის დედა.

საქმეში საქმროს გამოჩენამ ძალოვნები დააინტერესა, მაგრამ დედამ არც სახელი იცოდა, არც – გვარი და მეტიც, ნანახიც მხოლოდ ერთხელ ჰყავდა, აივნიდან, როცა ბიჭმა მისი ქალიშვილი სადარბაზომდე მიაცილა, მაგრამ აბა, ზემოდან სახეს როგორ დაინახავდა?

„ყველაზე საინტერესო იცი, რა არის? ძირითადად, სამსახურის მანქანით დავდივარ, ამ მანქანას არ ვხმაროობ, მუდმივად გარაჟშია. ახლა, სამსახურის მანქანა რემონტზეა და მეორე დღეა, რაც ჩემი ავტომობილით დავიწყე სიარული. ეზოში რომ ჩამოვედი, საბარგული გავხსენი, საჭმელი ჩავდე, მანქანა დავქოქე და მაღაზიაში სიგარეტის საყიდლად ფეხით წავედი. რომ მოვბრუნდი, ჩვეულებრივად ჩავჯექი და წამოვედი. გამოდის, ვიღაცამ იმ მომენტში ჩასვა ქალი მანქანააში, როცა მე სიგარეტზე გავედი, მაგრამ ვინ? მეზობლებიდან ასეთ რამეს ვერავინ გაბედავდა, ყველასთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს და მეორეც, იციან, რომ ასეთ რამეს მათ კი არა, საკუთარ შვილს არ ვაპატიებ“, – გაოცებული და დაფიქრებული ამბობდა მაღალჩინოსანი.

გოგონას სამსახურშიც დაადასტურეს, რომ მას ვიღაც ბიჭი აკითხავდა, მაგრამ მათ არც სახელი იცოდნენ, არც – გვარი და რაც მთავარია, ნორმალურად მისი აღწერა არ შეეძლოთ. ერთადერთი, გოგოს უახლოესი მეგობარი ამბობდა, ახლოდან მყავს ნანახი, ისევ რომ დავინახო, ვიცნობ, მაგრამ აღწერა არ შემიძლიაო. საქმროს ასე გასაიდუმლოება გამომძიებელს არ მოსწონდა და მაღალჩინოსანიც დარწმუნებული იყო, რომ თუ ბიჭს ნახავდნენ, საქმესაც გახსნიდნენ, ბიჭის ნახვა კი, მარტივი ნამდვილად არ იქნებოდა, რადგან მასზე არავინ არაფერი იცოდა. ჯერჯერობით, ერთადერთ იმედად, გოგონას გამოჯანმრთელება რჩებოდა, თუმცა ექიმები დაზუსტებით ვერაფერს ამბობდნენ. ამასობაში, მაღალჩინოსანმა გაიხსენა, რომ როცა სამსახურში მოდიოდა, გზაზე საკმაოდ აჩქარდა, მერე ვიღაც ველოსიპედიანი კაცი შემოუხტა გზაზე და მკვეთრად დაამუხრუჭა.

„კი გავიგონე, რომ საბარგულში რაღაც მძიმედ გაინძრა, მაგრამ მეგონა ან „ზაპასკა“ იქნება, ან სხვა რამ-მეთქი, რას ვიფიქრებდი, საბარგულში ქალი თუ იყო“, – ისევ თავის თავს ესაუბრებოდა მაღალჩინოსანი. მან გადაწყვიტა, ისევ იმ გოგოს გასაუბრებოდა, რომელმაც თქვა, საქმრო ნანახი მყავსო. უნდოდა ეკითხა, რამე დამახასიათებელი ნიშანი ხომ არ ჰქონდა ბიჭს – ან სვირინგი, ან იარა სახეზე. გოგონა უიმედოდ აქნევდა თავს, ჩვეულებრივი ბიჭია, სვირინგი არ შემინიშნავსო. მაღალჩინოსანმა ჯიბიდან საფულე ამოიღო, საფულედან – სავიზიტო ბარათი და გოგოს მიაწოდა, რამეს თუ გაიხსენებ, დამირეკეო. გოგონამ ინსტიქტურად საფულეს დახედა და შეჰკივლა. მაღალჩინოსანმა საფულეს დახედა, სადაც ერთადერთი შვილის ფოტო ედო. გოგონამ ფოტოს თითი დაადო – „ეს არის!“ კაცმა გაოცებისგან პირი დააღო, მაგრამ მალე მოვიდა აზრზე და გოგონას სთხოვა, არავის არაფერი უთხრაო და შვილის სანახავად წავიდა. ბიჭმა მხრები აიჩეჩა, კი, ერთ გოგოს ვხვდებოდი, მაგრამ მერე რაღაც არ მომეწონა და დავშორდი, მეეჭვება, იმას ასეთი რამ ექნაო. მამამ შვილი საავადმყოფოში წაიყვანა და ბიჭმა დაადასტურა – კი, ეს არის. მთავარ ეჭვმიტანილად მაღალჩინოსანის შვილი იქცა, მაგრამ...

„მაგ დროს, მეგობრებთან ერთად, ქალაქგარეთ ვიყავი, მოწმედ 30 კაცის მოყვანა შემიძლია, ამიტომ მე არაფერი გამიფუჭებია. ერთადერთი, რასაც ვაღიარებ, შენს დაუკითხავად მიმყავდა ხოლმე მანქანა და იმ გოგომ იცოდა, სად ვცხოვრობდი“, -თქვა ბიჭმა და მისი ალიბის გადამოწმების შემდეგ, სამართალდამცავები დარწმუნდნენ, რომ ის მართალს ამბობდა. ისევ ბუნდოვანი იყო, ვინ ჩასვა გოგო მანქანის საბარგულში.

საქმე წინ ერთი ნაბიჯითაც ვერ მიდიოდა, როცა საავადმყოფოდან დარეკეს, გოგო აზრზე მოვიდა და 5 წუთით მასთან საუბრის ნებას დაგრთავთო. პალატაში გამომძიებელი და მაღალჩინოსანი შევიდნენ.

„შურისძება მინდოდა, არ ვიცოდი, თუ საჭესთან თქვენ იქნებოდით. ჩემით ჩავძვერი საბარგულში, ხელები მერე იქ, ჩემით შევიკარი. მინდოდა, როცა გაჩერდებოდა, კივილი დამეწყო, ხალხი ხომ გაიგონებდა, დააკავებდნენ, ვიტყოდი, გამიტაცა-მეთქი. საქმროდ ვთვლიდი და მიმაგდო. მერე გზაზე, მოულოდნელად, ძლიერად დაამუხრუჭეს და ხელები უკან რომ მქონდა შეკრული, თავი ვერ შევიკავე და რაღაცას მივარტყი. მერე არაფერი მახსოვს“, – თქვა გოგონამ.

რა თქმა უნდა, არავინ გაუსამართლებიათ, თუმცა მას შემდეგ, მაღალჩინოსანი ავტომობილში ისე არასდროს ჯდებოდა, საბარგული რომ არ აეხადა.

ბათო ჯაფარიძე

სამწუხაროდ, პრაქტიკულად, ყოველდღე, საქართველოში უცხოეთიდან ჩვენს მოქალაქეებს მოასვენებენ. საზღვრებს გარეთ უკვე იმდენი ასეული ათასი თუ მილიონი ჩვენებურია გასული, რომ მათი უკან ჩამოსვენებაც რიგით ამბად იქცა, ყველა შეეგუა, თითქოს. ზოგი ბუნებრივი სიკვდილით კვდება, ზოგი – ავარიით, ზოგს კლავენ და ესეც ჩვეულებრივი ამბავია, სადაც ადამიანები არიან, იქ არის სიკდილიც და საბედნიეროდ, იქ არის სიცოცხლეც. საზღვარგარეთ არაერთი ჩვენებური იბადება და წარმატებებსაც აღწევს. არც ის გვიკვირს, მაგალითად, ოლიმპიადაზე, ძიუდოისტთა შორის „ესპანელი“ ნიკო შერაზადიშვილი, ასევე „ესპანელი“ ტრისტან მოსახლიშვილი, „ნიდერლანდელი“ ერეკლე ჭკადუა, „აზერბაიჯანელი“ უშანგი კოკაური, „ფრანგი“ ლუკა მხეიძე რომ ასპარეზობდნენ და არცთუ ურიგოდ. ქართული სისხლის დუღილი იქაც ჩანდა და როგორ გინდა, არ აგეტიროს, როცა მხეიძე ფინალში მეტოქეს ხვდებოდა, მთელი დარბაზი გუგუნებდა – „ფრანსე, ფრანსე“ და ამ დროს, სუსტად, მაგრამ მაინც ისმოდა რამდენიმე ათეული გულშემატკივრის შეძახილი – „საქართველო, საქართველო“...

როგორ გაითამაშა საკუთარი გარდაცვალება ქართველმა ქალმა ბარსელონაში

ესპანური თაღლითობის ქართული ანატომია

მოგეხსენებათ, ევროპაში ქართველ პოლიციის ატაშეთა რიცხვი ძალიან გაიზარდა და ეს დანაშაულის ზრდას უკავშირდება. დიახ, ბევრი ემიგრაციაში განათლების მისაღებად და სამუშაოდ კი არ მიდის, არამედ, იმისთვის, რომ მოიპაროს და ერთ დღეში თუ ერთ კვირაში გამდიდრდეს, მაგრამ მათი აბსოლუტური უმრავლესობა „კარიერას“ ციხეში ასრულებს და ნანატრი სიმდიდრეც არსად ჩანს.

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, ესპანეთში მოხდა და ესპანურმა მხარემ ქართველი სამართალდამცავების ჩართვა თავად მოითხოვა. ზოგადად, ქართულ მხარეს ყველაზე კარგად აწყობილი და დაწყობილი თანამშრომლობა, სწორედ ესპანურ და გერმანულ მხარესთან აქვს.

საქართველოდან ესპანეთში, კონკრეტულად კი ბარსელონაში, ტყუპი და წავიდა. როგორც წესი, თავიდან ორივემ მოხუცების მოვლით დაიწყო, შემდეგ ერთი და კაფეში გადავიდა სამუშაოდ და მერე, ქალაქის გარეუბანში, პატარა კაფე თავადაც აიღეს იჯარით. ნელ-ნელა საქმე აეწყო და 5-6 წლის შემდეგ, დებმა იმდენი ფული მოაგროვეს, რომ საკუთარი კაფე გახსნეს. თამამად შეიძლებოდა იმის თქმა, რომ მათი ცხოვრება აეწყო, ბინაც კი აიღეს კრედიტით და იცოდნენ, რომ დაახლოებით, ათ წელიწადში, ბარსელონაში უკვე საკუთარი საცხოვრებელი ექნებოდათ. ჰოდა, უბედურებაც სწორედ მაშინ გამოჩნდება ხოლმე, როცა არ ელოდები – ერთ-ერთი და ავტოავარიაში მოჰყვა და გარდაიცვალა. სანამ მეორე და მომხდარის დეტალებს არკვევდა და საქართველოში გადმოსვენების საბუთებს აგროვებდა, მას აუწყეს, თქვენი დის კრემაცია მოხდა და ფერფლს როდის წაიღებთო? სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ ტყუპისცალი პოლიციაში მივიდა და განაცხადა, ეჭვი მაქვს, ჩემს დას ავარია მოუწყვეს და რაც მთავარია, იმ ავარიაში უკვე მკვდარი დააგდეს, მერე კი, კრემაცია იმიტომ გააკეთეს, ექსპერტიზას სიკვდილის ნამდვილი მიზეზი რომ არ გაეგოო. სამართალდამცავები საქმეში ჩაერთვნენ, მაგრამ ცოტა ხანში იფიქრეს, რომ მომხდარში დანაშაულის ნიშნები არ იყო, რადგან არსებობდა ოფიციალური საბუთი, რომლის მიხედვითაც, გარდაცვალების შემთხვევაში, და სწორედ კრემაციას ითხოვდა ანუ კრემაცია მისი სურვილის შესაბამისად მოხდა. აღნიშნული საბუთის არსებობის შესახებ მეორე დამ არაფერი იცოდა და გაოცებული უყურებდა საბუთს, რომელზეც აშკარად მისი დის ხელმოწერა იყო. თითქოს, ყველაფერი აქ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ახლა უკვე თავად პოლიცია დაინტერესდა ერთი დეტალით – გარდაცვლილს, სიკვდილამდე ორი კვირით ადრე, 700 ათასი ევროს კრედიტი ჰქონდა დამტკიცებული, ეს თანხა ანგარიშზე განულებული იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ფულს არავინ გადაიხდიდა ანუ ბანკი, უბრალოდ, იზარალებდა.

„დიახ, ამ კრედიტის აღება ერთობლივი გადაწყვეტილება იყო. ახალი კაფე უნდა გაგვეხსნა, ცოტა უფრო დიდი და უკეთეს ადგილზე, მაგრამ... არ მეგონა, თუ ჩემმა დამ თანხა გაანაღდა, მეგონა, ანგარიშზე იყო“, – გაოცებული ამბობდა გარდაცვლილის ტყუპისცალი და იმ ვიდეოებსაც გაოცებული უყურებდა, სადაც ჩანდა, როგორ ხსნიდა მისი და ყოველდღიურად ბანკომატიდან სოლიდურ თანხას.

ჰოდა, ძალოვნებს ეჭვი სწორედ აქ გაუჩნდათ. იქნებ, გარდაცვლილი იყო არა ის ქალი, რომელმაც კრედიტი აიღო, არამედ მისი და და სინამდვილეში, კრედიტის ამღები ცოცხალი გახლდათ და სიტუაციით სარგებლობდა? იქნებ, თავად მოაწყო თავისი დის სიკვდილი და ახლა, ფულიც და ქონებაც სრულად მას რჩებოდა?! რაც მთავარია, დებს ერთმანეთისგან ვერავინ გაარჩევდა ანუ რომელი იყო ცოცხალი და რომელი გარდაცვლილი, არავინ იცოდა, ცხოვრებაშიც და საბუთების სურათებშიც, ისინი ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ჰავდნენ. ამიტომაც მოითხოვეს ესპანელმა პოლიციელებმა ქართველების ჩართვა, იქნებ, არსებობდა რამე განმასხვავებელი ნიშანი, ან ისეთი ნათესავი საქართველოში, რომელიც მათ გაარჩევდა. რაც მთავარია, ბაზაში არ არსებობდა მათი თითის ანაბეჭდი, რომ შეედარებინათ, დნმ კი... რომელი რომლის იყო, როგორ უნდა გაერჩიათ?

დებს მშობლები გარდაცვლილი ჰყავდათ, რაც მათი მხრიდან იდენტიფიცირებას გამორიცხავდა, არ ჰყავდათ სხვა დედმამიშვილი, ნათესავი კი... ვინმეს რომც გაერჩია, იტყოდა, ცდებაო და ვერაფერს დაამტკიცებდნენ. ამიტომ, საქართველოში, მათი ავადმყოფობის ისტორია მოიძიეს და საინტერესო განმასხვავებელ ნიშანს მიაგნეს. ექიმი, რომელსაც დები კარგად ახსოვდა, ამტკიცებდა, რომ ერთ-ერთ დას, მხარზე ლაქა ჰქონდა, თუმცა ეს არ იყო არც ხალი და არც – სხვა რამ, ეს იყო დაბადებიდან გამოყოლილი ლაქა, რომელიც ასაკის მატებასთან ერთად, გვარიანად გამუქდა. ჰო, ლაქა არ იყო შეუმჩნეველი და ლამის ხელის გულის ზომის გახლდათ. აქ არსებული საბუთებით, ცოცხალი, სწორედ ეს და უნდა ყოფილიყო და თუ მას ლაქა აღმოაჩნდებოდა, გამოდიოდა, რომ ის არ ტყუოდა და გარდაცვლილი მართლაც ის იყო, რომელმაც კრედიტი აიღო. საქართველოდან ესპანეთში ერთი ძალოვანი წავიდა, ყველა საბუთი წაიღო და რაც მთავარია, წაიღო იმ ლაქას სურათი, რომელიც ცოტა უხარისხო კი გახლდათ, მაგრამ ზუსტად ჩანდა ფორმები და ადგილი მხარზე, სადაც ის ლაქა არსებობდა. ქართველი სამართალდამცავის ჩასვლის შემდეგ, ესპანელებმა ქალი დაკითხვაზე გამოიძახეს.

„ლაქა? დიახ, ლაქა მე მაქვს, ჩემს დას არ ჰქონდა“, – თქვა ქალმა და მხარი მოიშიშვლა. იქვე იყო ექიმიც, რომელმაც ყურადღებით დაათვალიერა ლაქა და განაცხადა, რომ ეს არ იყო ახლახან მიხატული, ან რამე ხელოვნური სვირინგი, ეს ნამდვილად ბუნებრივი ლაქა გახლდათ. სამართალდამცავებს ნანახი არ მოეწონათ, რადგან საქმე უფრო აიხლართა. გამოდიოდა, რომ ქალი არ ტყუოდა, მაგრამ მაშინ სად იყო ფული, რომელიც მან ბანკომატიდან მოხსნა? სხვა ანგარიშზე მას თანხა არ შეუტანია, სახლში ფული არ იდო და დაც გაოცებული ამბობდა, ამდენი თანხა, ნეტავ, სად უნდა წაეღოო? ხომ შეიძლებოდა, რომ ვინმემ ამ თანხის არსებობის შესახებ იცოდა და ქალი უბრალოდ მოკლა? მაგრამ... მისი ხელით დაწერილი განცხდება კრემაციაზეც დიდ ეჭვს იწვევდა.

„იქნებ, ის კრემატორიუმს მოელაპარაკა, იქნებ, უბრალოდ ფული გადაუხადა, მაგალითად, 100 ათასი და სთხოვა, რომ ვინმე უპატრონო დაეწვათ“, – „ჯიგრულ-ქართულ პონტში“ იფიქრა აქედან ჩასულმა პოლიციელმა და ესპანელი სამართალდამცავებიც აღნიშნული მიმართულებით წავიდნენ. პირველ რიგში, მათ ის კაცი ნახეს, ვინც ქალის გარდაცვალება ოფიციალურად დაადასტურა და ერთადერთი კთხვა დაუსვეს – რატომ არ დაელოდა ოჯახის წევრს, რომელსაც ამოცნობა უნდა ჩაეტარებინა და რატომ გააკეთა ისე, რომ სასწრაფო წესით, გარდაცვლილი კრემატორიუმის გზას გაუყენა? ექიმს საბუთებით ყველაფერი წესრიგში ჰქონდა, მანქანა გარდაცვლილის იყო, საბუთებით ის იყო, სახეც ის იყო და კრემატორიუმში გაშვება კიდევ, მისივე მოთხოვნა გახლდათ. თითქოს, ყველაფერი აქ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ...

„გარდაცვლილის ფერფლი დამ სამშობლოში წაიღო და ის ორი დღის წინ გაფრინდა. ჰოდა, მე დღეს ზუსტად იგივე გარეგნობის ქალი დღეს, სუპერმარკეტში ვნახე, სახეს კი იფარავდა, თავშალიც ეკეთა, მაგრამ ის იყო. მგონია, რომ ეს სწორედ ის გარდაცვლილია, ქუჩაში არ დავაკავე, სახლამდე მივყევი, იქვე პატრულს ვთხოვე, რომ სახლისთვის ედარაჯა და აქ მოვედი“, – ქართველი პოლიციელი ესპანელ კოლეგებს ესაუბრებოდა. რაღა თქმა უნდა, მისამართზე ჯგუფი გავიდა და „გარდაცვლილი“ დააკავეს.

„700 ათასი ევრო ძალიან ბევრია, ამ ფულით ცხოვრებას ერთიანად ავიწყობდით. ყველაფერი მე დავგეგმე, ჩემმა შტერმა დამ არაფერი იცოდა და რომ გაეგო, არ დამანებებდა. ფული მე მაქვს, ოღონდ 600 ათასი, 100 თასი პათანატომს მივეცი, ყველაფერი ისე რომ გაეკეთებინა, ეჭვი არავის აეღო. არ ვიცი, მგონი ორი კვირის წინ ნაპოვნი უსახლკარო ქალი დაფერფლეს“, – განაცხადა დაკავებულმა.

თაღლითობისთვის ქართველ ქალს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, ექიმს – 6 წელი მისცეს, ფული კი ბანკმა წაიღო და ყველაფერთან ერთად, თავისუფლებაზე დარჩენილი და, ციხეში მყოფი ტყუპისცალისთვის, ბანკის მიერ დაკისრებულ 70 ათას ევროს ეტაპობრივად იხდის.

პროკურატურამ სოფელ ატენში მომხდარ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე ბრალდებულ ორ პირს, საიდანაც ერთი სამართალდამცველია, დაზარალებულის გარდაცვალების გამო, ბრალდება დაუმძიმა

საქართველოს პროკურატურამ, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენში მომხდარ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე ბრალდებულ ორ პირს, დაზარალებულის გარდაცვალების გამო, ბრალდება დაუმძიმა.

პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 29 ივლისს, სოფელ ატენში, შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ინსპექტორმა დ.რ-მ და ი.ბ.-მ ჯგუფურად, დაზარალებულს თავისა და სხეულის არეში ჯანმრთელობის მძიმე, სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები მიაყენეს, რის შედეგად, დაზარალებული 11 აგვისტოს გარდაიცვალა.

მათივე ცნობით, პროკურატურამ ორივე მათგანს დაზუსტებული ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მეოთხე ნაწილით (ჯანმრთელობის ჯგუფურად, განზრახ მძიმე, სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია) წარუდგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, გამოძიების პირველ ეტაპზე ბრალდება დ.რ.-ს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება), ხოლო ი.ბ.-ს დაუსწრებლად სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი ნაწილით (მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა) წარედგინათ და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ. მოგვიანებით, მათ ბრალდება დაუზუსტდათ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მესამე ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით (ჯანმრთელობის ჯგუფურად, განზრახ მძიმე, სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანება) წარედგინათ.

ბრალდებული დ.რ. პენიტენციურ დაწესებულებაშია მოთავსებული, რაც შეეხება ი.ბ.-ს, მის მიმართ გამოცხადებულია ძებნა.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელების მემორიალი გვირგვინით შეამკო

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, მოადგილეებთან ერთად, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, სამშობლოს სამსახურისთვის თავგანწირულ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

სამინისტროს ეზოში, საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული პოლიციელების მემორიალი ყვავილებით შეამკეს და 2008 წლის ომის გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელებმაც.

16 წლის წინ, 2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს – 14 და სანაპირო დაცვის – 5 თანამშრომელი დაიღუპა.

ვახტანგ გომელაურმა მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე, 2008 წლის ომის გმირების ხსოვნას პატივი მიაგო

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან, მთავრობის წევრებთან და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე, 2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპული მებრძოლების ხსოვნას პატივი მიაგო.

პროკურატურა: „ბრალდება წარედგინა პირს, რომელმაც ლანჩხუთში დაზარალებული თოკით გაკოჭა, ბლაგვი და ბასრი საგნებით სხეულზე დაზიანებები მიაყენა, რის შედეგადაც, ის ადგილზე გარდაიცვალა“

საქართველოს პროკურატურამ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, დამამძიმებელ გარემოებებში, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 8 აგვისტოს, ქალაქ ლანჩხუთში, ბრალდებულმა დაზარალებული თოკით გაკოჭა, რის შემდეგაც ბლაგვი და ბასრი საგნების გამოყენებით, სხეულზე დაზიანებები მიაყენა. მიღებული დაზიანებების შედეგად, დაზარალებული ადგილზე გარდაიცვალა.

„სამართალდამცველებმა ბრალდებული 9 აგვისტოს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „მ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-იდან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეეფარდა“, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სარფის მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობების შემოტანის ფაქტები აღკვეთეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტში – „სარფი“, მებაჟე ოფიცრების მიერ, უცხო ქვეყნის მოქალაქეების ეჭვის საფუძველზე, როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგის/ხელბარგის დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები (ოქროს ნაკეთობების საერთო წონა – 357.87 გრამი და ვერცხლის ნაკეთობების საერთო – წონა 60.23) გამოვლინდა. ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 73 798.07 ლარი შეადგინა.

ამასთან, როგორც გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ქალზე ძალადობის ბრალდებით სამართალდამცავი დააკავა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ძალადობისა და მუქარის ფაქტზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტორი დააკავეს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცნობით, ბრალდებულმა სამართალდამცავმა, 2024 წლის 6 აგვისტოს, დუშეთის რაიონის სოფელ ზემო ბულაჩაურში, დაზარალებულს სახისა და თავის არეში დაზიანებები მიაყენა და დაემუქრა მისი და მისი შვილების სიცოცხლის მოსპობით.

ამასთან, განმარტავენ, რომ სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, დაზარალებული ქალის მომართვის შემდეგ, გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა, რის შემდეგაც 2024 წლის 7 აგვისტოს, სამართალდამცავი დაკავებული იქნა ძალადობისა და მუქარის ბრალდებით.

„დანაშაული 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცავს ბრალდება 48 საათში წარედგინება. სპეციალური საგამოძიებო სამსახური საქმეზე აგრძელებს გამოძიებას“, – აღნიშნულია განცხადებაში.

სამი ოქრო და საქართველომ მსოფლიოს უდიდეს ნაწილს ზემოდან დახედა

ინდოეთი – 1.5 მილიარდი, თურქეთი – 80 მილიონი, მექსიკა – 113 მილიონი, კოლუმბია – 50 მილიონი, მალაიზია – 30 მილიონი, პერუ – 30 მილიონი, ჩრდილოეთ კორეა – 30 მილიონი, კოტ დივუარი – 30 მილიონი – ეს იმ ქვეყნების არასრული ჩამონათვალია, რომელთა მოსახლეობაც საქართველოსას, ყველაზე ცოტა, ათჯერ აღემატება და რომლებსაც ამ ოლიმპიადაზე ოქროს მედალი არ ღირსებიათ. ჰო, ამ ქვეყნების წარმომადგენლებმა ოქროს გემო ვერ გაიგეს და ჩვენ, პატარა ქვეყნის ამაყმა შვილებმა, მსოფლიოს კიდევ ერთხელ დავანახეთ, რომ – You know, 300 Aragveli?

ცოტა არ იყოს, პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ მეტიც შეგვეძლო და თან როგორ შეგვეძლო. არავის ეგონა, რომ მრისხანე მეტოქის მიუხედავად, ფინალს წააგებდა ტატო გრიგალაშვილი და ასევე არავის ეგონა, რომ ფინალში საუცხოოდ მოჭიდავე ილია სულამანიძე, გამოუცდელობის გამო, 12 წამში ორ გაფრთხილებას მიიღებდა. ისინი ვერცხლს დასჯერდნენ, მაგრამ ისეთი ასაკი აქვთ, რომ ოქროსთვის აუცილებლად გაიწევენ და გაიწევენ ზუსტად ისე, როგორც ეს გენო პეტრიაშვილმა გააკეთა. ჰო, ქოროებზე საუბაარი, სწორედ პეტროთი დავიწყოთ.

გასულ ოლიმპიადაზე, ფინალში საუცხოოდ მოჭიდავე გენომ, შეხვედრა სამ წამში დათმო, მოულოდნელი ილეთი მიიღო მეტოქისგან და ეს იყო ყველაზე მწარე მარცხი მის კარიერაში. იმდენად მწარე, რომ მას შემდეგ, გენო ფინალებამდე მიდიოდა და.. ვეღარ იგებდა. ჰო, ევროპისა და მსოფლიოს ჩვენი ჩემპიონი, თითქოს, დაკომპლექსდა და აგერ, ისევ ოლიმპიადა, ისევ ფინალი და... თითქოს, ისევ ის დრამატული სცენარი, მაგრამ არა – პეტრიაშვილს ძველი გამოცდილება მწარედ ახსოვდა და მოიგო, მოიგო კარიერის ყველაზე დიდი ტურნირი და როგორ შეიძლება, ცრემლი არ წამოგივიდეს, როცა პეტრიაშვილმა პირველივე კომენტარში იკითხა, ნეტავ, მამაჩემი ცოცხალიაო? ცალკე წიგნი დაიწერება

პეტრიაშვილის დაჯილდოვების ცერემონიალზე. გენო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე იდგა, ბრინჯაოს მედალი კი ამავე წონაში, აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე გიორგი მეშვილდიშვილმა აიღო და როცა ქართული დროშა ასწიეს და ჩვენი ჰიმნი დაუკრეს, გენოს მსგავსად, მკერდზე ხელი მეშვილდიშვილმაც მიიდო და ჰიმნს აჰყვა.

იმავე დღეს, ოლიმპიადაზე ჰიმნი ლაშა ტალახაძის პატივსაცემად დაუკრეს და დაუკრეს ზედიზედ მესამედ. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ტალახაძე პირველია, ვინც ოლიმპიური ოქრო სამჯერ მოიგო და მაშინვე თქვა, მეოთხედაც შევეცდებიო. ვიღაცას შეიძლება მოეჩვენოს, რომ ლაშას მოგება გაუჭირდა, მაგრამ რეალურად, ჩვენს მძლეთამძლეს ტრავმა ჰქონდა, ერთი წელი ამ ტრავმის გამო, არცერთ ტურნირზე არ მიუღია მონაწილეობა და ახლა მისი წარმატება გმირობა იყო. მან ზუსტად იმდენი ასწია, რამდენიც ჩემპიონობისთვის ეყოფოდა და მოდით, ისიც ვთქვათ, რომ ასაკის გამო, ლაშას სულ უფრო გაუჭირდება, მაგრამ მისი უნიკალური მონაცემების გამო, მეოთხე ოქროს უდიდესი იმედი გვაქვს.

თავის დროზე, ლაშა ბექაურის მიერ ნათქვამი, ოლიმპიადა ოთხჯერ უნდა მოვიგოო, ბევრმა ბავშვურ გულუბრყვილობად ჩათვალა, მაგრამ აგერ, 24 წლის ასაკში, ლაშა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ საკუთარ წონაში ბადალი არ ჰყავს. ეს ოლიმპიადაც ბექაურმა ერთი ამოსუნთქვით მოიგო და ეჭვი გვაქვს, მომდევნო ოლიმპიადისთვისაც ისე მოემზადება, როგორც ახლა – მშვიდად და თავდაჯერებულად.

ცალკე სათქმელია ლაშა გურულის წარმატება. ორი ათეული წელი დაგვჭირდა იმისთვის, რომ კრივში ოლიმპიური მედალი ისევ აგვეღო და აჰა, ეს დღეც დადგა. ლაშამ ბრინჯაო მარტივად გაინაღდა, აი, ნახევარფინალში კი, მომავალ ჩემპიონთან ულაპარაკოდ წააგო, თუმცა ნანატრი მედალი მაინც აიღო.

და ოლიმპიადის ბოლო დღეს, იმდენი გვქონდა, რომ გივი მაჭარაშვილი დანაპირებს აასრულებდა და ოლიმპიადის წინ ნათქვამს, ყველა მეტოქეს დავამარცხებ, კარგ ფორმაში ვარო, გაამართლებდა. გივი ფინალამდე დამაჯერებლად, ჭკვიანური ჭიდაობით მივიდა, იქ კი ბაჰრეინის სახელით მოასპარეზე, დაღესტნელი ახმედ ტაჟუდინოვი ელოდა. ეს ბიჭი 21 წლისაა, სამი წელია, რაც დიდებში გადმოვიდა და ჯერ შეხვედრა არ წაუგია. ამბობენ, რომ მას უდიდესი მომავალი აქვს და როგორც ჩანს, არცთუ ტყუილად – მან მაჭარაშვილს შებოჭვით მოუგო და 21 წლის ასაკში, ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა, ჩვენ კი ვერცხლს დავჯერდით.

საქართველოში საკლუბო ფეხბურთი მკვდარია

ფეხბურთში, ევროთასების შესარჩევი ეტაპი გახურდა და როგორც მოსალოდნელი იყო, ქართული კლუბებისთვის უკვე დასრულებულია. მართალია, გათამაშების მესამე ეტაპზე „იბერია 1999“ კი გამოდის, მაგრამ თბილისურმა კლუბმა პირველი შეხვედრა შინ წააგო და უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ ვერც სტუმრად, საპასუხო მატჩში ივარგებს.

რა სჭირს ქართულ საკლუბო ფეხბურთს? პირველ რიგში ის, რომ, პრაქტიკულად, ყველას ჰყავს არაერთი ისეთი ლეგიონერი, რომელიც საშუალო დონისაა. ვერ გაიგეს ქართულმა კლუბებმა, რომ თუ ადამიანი ფერადკანიანია, აუცილებლად ფეხბურთელი ვერ იქნება და ვერც ბრაზილიის პასპორტია იმის გარანტი, რომ მისი მფლობელი ფეხბურთს თამაშობს. ჰოდა, ჩამოგვყავს ეგზოტიკური შეფერილობის მამაკაცები, რომლეებსაც ვაიძულებთ, ფეხბურთი ითამაშონ, მაგრამ არ იციან. სამაგიეროდ, სოლიდურ ხელფასებს იღებენ (ქართული საზომებით, 5-6 ათასი დოლარი აშკარად სოლიდურია, მით უმეტეს, თუ ფეხბურთის თამაში არ იცი და არც არავინ გთხოვს) და გზას უკეტავენ პერსპექტიულ ქართველ ახალგაზრდებს, რომლებმაც, შესაძლოა, დიდი ფეხბურთი ითამაშონ, მაგრამ საამისო შანსი, უბრალოდ, არ ეძლევათ. არადა, სწორი მიდგომით, სწორი მუშაობით, შედეგის მიღწევა აშკარად შეიძლება და ამის ბევრი მაგალითი გვაქვს. ავიღოთ სომხური და აზერბაიჯანული კლუბები. არ გვაქვს საუბარი იმაზე, რომ ამ ქვეყნების წარმომადგენლები ჯგუფურ ეტაპებზე, ლამის, მუდმივად თამაშობენ, ახლაც კი, როცა საქართველს ყველა წარმომადგენელი გამოეთიშა ევროთასებს, მათ სამ-სამი კლუბი შერჩათ. საქმეშია ფარერული გუნდი, ლუქსემბურგის გუნდი ანუ ქვეყნების, რომელთა ნაკრებებს კი არ მოვუგებთ, ბურთს თავზე გადავახევთ, მაგრამ საკლუბო დონეზე გვჯაბნიან.

ლეგიონერების ჩამოყვანის გარდა, ერთგვარ მოდად შემოვიდა ისიც, რომ გუნდს აუცილებლად უცხოელი მწვრთნელი უნდა ჰყავდეს და მნიშვნელობა არ აქვს, ამ სპეციალისტს აქვს თუ არა შესაბამისი კვალიფიკაცია. აგერ, გორის „დილას“ პორტუგალიელ მწვრთნელზე ამბობდნენ, კარგიაო, მაგრამ ექვსთვიანი მუშაობის შემდეგ, ის სომხურმა კლუბმა გადაიბირა, სამჯერ მეტი ხელფასი შესთავაზა და ისიც წავიდა. „დილა“ ევროთასებზე არ არის, ის სომხური კლუბი კი დღემდე ასპარეზობს.

სად არის გამოსავალი? ფეხბურთში მხოლოდ ფულის ჩადება არ კმარა. იმისთვის, რომ შედეგი გვქონდეს, აუცილებელია კვალიფიციური მწვრთნელი და კვალიფიციური ფეხბურთელები, არ არის აუცილებელი, კარგად რომ ითამაშო, აუცილებლად ფერადკანიანი იყო. გვახსოვს ისეთებიც, ვითომ სინჯებზე რომ ჩამოდიოდნენ და მერე „ზაპრავკაზე“ ჩამსხმელად რომ მუშაობდნენ. ახლაც, ლეგიონერთა 95% უბრალოდ გასაგდებია, მაგრამ... იმასაც ამბობენ, ასე ფულს ათეთრებენო და რა გითხრათ აბა, რაც დაზუსტებით არ ვიცით.

უკვე რეალურია – „ლივერპული“ მამარდაშვილს იყიდის და... არ წაიყვანს

ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ყველა მოუთმენლად ელოდება, სად გააგრძელებს კარიერას საქართველოს ნაკრებისა და „ვალენსიას“ კარის დარაჯი გიორგი მამარდაშვილი. ყველა ხვდება, რომ გიო ესპანური გუნდისთვის უკვე ზედმეტად დიდი ფუფუნებაა და „ღამურებიც“ იმდენად შეეჩვივნენ იმას, რომ მამარდა მათ რიგებს დატოვებს, მისი შემცვლელი უკვე იყიდეს. ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ მამარდაშვილი კარიერას პრემიერლიგის რომელიმე კლუბში გააგრძელებდა და ის, რასაც ვარაუდობდნენ, რეალობას ემსგავსება. უდიდესია იმის შანსი, რომ თვის ბოლომდე, გიორგიმ კონტრაქტი „ლივერპულთან“ გააფორმოს.

„მერსისაიდელების კარის დარაჯი, ალისონ ბეკერი გუნდიდან წასვლას და კარიერის არაბეთში გაგრძელებას აპირებს. მას ზღაპრულ ხელფასს სთავაზობენ და ისიც მზად არის, კარიერის ბოლო ორი-სამი წელი, სწორედ ფულის კეთებას დაუთმოს. ჰოდა, „ლივერპული“ თავს იზღვევს და თუ ალისონი გუნდიდან ამ ზაფხულს წავა, მის ნაცვლად, მამარდაშვილს ჩააყენებენ კარში, თუ არადა, ქართველს მაინც იყიდიან და ერთი წელი იჯარით ისევ „ვალენსიაში“ დატოვებენ და ნისლიანი ალბიონის გზას, მომავალი სეზონის ბოლოს გაუყენებენ“, – წერს ბრიტანული მედია.

კუბელმა ისტორია გა-დაწერა

კუბელი მოჭიდავე, მიხაინ ნუნიეს ლოპესი, ბოლო ცხრა წელია, არცერთ დიდ ტურნირს არ ჭიდაობს და მხოლოდ ოლიმპიადებზე გამოდის იმისთვის, რომ თავისი საოცარი ძალა გულშემატკივრებს კიდევ ერთხელ ანახოს. პარიზში გამართულ ოლიმპიადაზე ნუნიეს ლოპესი განთესილებს შორის იმ მიზეზით არ იყო, რომ მხოლოდ ერთ უმნიშვნელო, თუმცა ლიცენზიის მომტან ტურნირში მიიღო მონაწილეობა და პარიზში მეხუთე ოლიმპიურ ოქროს შეუტია. ჰო, კუბელს ზურგს 4 ოლიმპიადა და ამდენივე ოქროს მედალი უმაგრებდა, რაც ერთი კი არა, ორი და სამი შეხედვითაც, წარმოუდგენელი შედეგია.

ნუნიეს ლოპესი რომ უპირობო ფავორიტი იყო, ყველა აღიარებდა, მაგრამ იმასაც ფიქრობდნენ, რომ 41 წლის ასაკში, მაღალ დონეზე ჭიდაობა გაუჭირდებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად – მან ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო, ოლიმპიადის მეხუთე ოქროს მედალი დაიკიდა გულზე და... კარიერა დავასრულეო, თქვა. მის გამარჯვებას პოლიტიკოსებიც კი გამოეხმაურნენ და განაცხადეს, ნუნიეს ლოპესი კუბელი რომ არ იყოს, ბევრად დიდი და პოპულარული იქნებოდაო, მაგრამ ეს მაინც გადაჭარბებული ნათქვამი გვგონია – მეტი რაღა დიდი გინდათ, კაცმა 5 ოლიმპიადაზე მიიღო მონაწილეობა და ხუთივეჯერ დაუმარცხებლად დატოვა იქაურობა. მეხუთე მედლის მოპოვების შემდეგ კი იქვე, საჭიდაო ხალიჩაზე ფეხსაცმელები გაიხადა, რაც იმას ნიშნავს, რომ დიდი კაცი, დიდი სპორტიდან საბოლოოდ წავიდა.

ვაჟა ფშაველა

ტყე ტიროდა

ხშირი, დაბურული ტყით შემორტყმულ მდელოზე დიდი ჟრიამული ისმოდა. ქალი, კაცი, ბავშვები და ძაღლები ერთმანეთში ბუზივით ირეოდნენ! მომეტებული ნაწილი თოფ-იარაღიანი ხალხი იყო. ყველას სახეზე სიამოვნებისა და ბედნიერების ალმური ასდიოდა, ყველას ბაგეზე ღიმილი ციმციმებდა; ხალხი თავს დაჰბრუნავდა გაშოტილ ხარ-ირემს, რომელიც ამ დილით მონადირეებს მოეკლათ. უსიტყვოდ იწვა ტყის შვილი, ტყის გულ-მკერდით და ლაღად გაზდილი; თვალები, დახოცილი თვალები, მღვრიე წყალში უცურავდა; ენა გადმოეგდო. მონადირის ცხენებმა რომ ნახეს მკვდარი ირემი, ფრუტუნ-ხრუტუნით გაშორდენ, ზურგი აქციეს, არ უნდოდათ მკვდარი ირემისათვის ეცქირნათ, ამიტომ შორს, ველის ბოლოში, მწვანესა სძოვდენ, საბელ-ათრეულები.

ბალღებმა ირემს ჯერ ვერ მისწონეს და ახლა კი რქის ტოტებზე ებღაუჭებოდენ. „ჩქარა გაატყავეთ, ჩქარაო! – იჟინებდენ ქალები, – ვნახოთ, რა გემო ექნება ირმის მწვადსა!“ ერთმა ვიღაცამ დაიძახა:

– მოდით, ქალებო, ვიდრე მწვადი შეიწოდეს, ჰაერი შევისუნთქოთ, სისხლი ავამოძრაოთ, უფრო შევირგებთ. აბა, მაშ, ვიდრე მწვადი შეიწვოდეს, დაირა, დოლი და დიპლიპიტო!

– ძალიან კარგი იქნება, კარგზე კარგი, – წამოაყრანტალა დიდულვაშებიანმა კაცმა და პირველმა თავად დაიწყო ტლინკვა, ნავარდობა ნაიალაღარს ხარსავით; პირველად ხელგაშლილი ის მიეგება დაირისა და დიპლიპიტოს ხმასა. იმას მოჰყვნენ სხვანი, დასტრიალებდენ მწვანეზე, სიცოცხლითა სტკბებოდენ. ზოგს არ ეცალათ: ირემს ატყავებდენ. ირმის მოკვლა მხიარულებას აათკეცებდა; აუსრულდათ ყველას ნანატრი; მოჰკლეს ირემი, იმიტომ არ გამოიქცა ველად ეს ამოდენა ხალხი, რომ ირემი ან შველი უნდა მოეკლათ, და მოჰკლეს კიდევაც.

გულის წადილი აუსრულდათ; დღეს ბედნიერები იყვნენ ყველა იქ მყოფნი. მხოლოდ ტყე, გარემო ბუნება არ იყო ბედნიერი; ტყე ტიროდა, ტიროდა დიდი ფერდა, კალთა მთისა, რომელიც მდელოს, საცა ირემს ატყავებდენ, თავს დაჰყურებდა. შავის ტყით დაფარული სერები ოხვრა-კვნესასა, ნიავის მიერ მოტაცებულს, იმ მდელოს აფრქვევდენ, სადაც ხარი-ირემი ესვენა. მხცოვანი ხეები – ცაცხვები, მუხები, თელები, ბოკვები, ვერხვები, წიფლები, არყები, იფნები და სხვა და სხვანი ვიშვიშებდენ, ყველამ ერთად გაიგო, თუმცა კარგა დაშორებით იდგნენ ერთი-მეორეზე, თავიანთი საყვარელი შვილის სიკვდილი. ტყე არის ირმის დედა, ძუძუს ტყე აწოვებდა, აკვანს ტყე ურწევდა, საბნადაც ტყე ეხურებოდა. ტყე შეჰხაროდა და შეჰფოფინებდა ხარ-ირემს, თავი მოსწონდა ტყესა, რომ ისეთი ახოვანი, მშვენიერი შვილი გაზარდა.

ირმის მშვენებაში თვით ტყისავე მშვენება იყო ჩაქსოვილი. სიტურფე ირმისა დამამტკიცებელია ტყის მშვენიერებისა. ულაზათოს, უშნოს განა შეუძლიან ჰშვას მშვენიერება? ირემში ტყე თავის თავსა ჰხედავდა. ირემი ამაგია ტყისა. აბა, სთქვით – ტყეს, რაზედაც კი ირემს თვალი და პირი მიუწვდებოდა, თუ დაუზოგია?! მიუვალ ტყეს ირემი უფლობდა, როგორც სრულ საკუთრებას; ტყეს ეს უხაროდა, როდი სწყინდა: უნდოდა მისი შვილი, თვისი აღზრდილი, დამდგარიყო ლამაზი, ახოვანი, გონიერი და ღონიერი, სახელოვანი ვაჟკაცი. ირმის სიკეთე იყო სიკეთე თვით ტყისა, როგორც შვილის სიკეთე არის მუდამ დიდება მშობლისა.

– ვაჰმე, ჩემო სილაღევ, ვაჰ, ჩემ თავს! გულში სინათლე ჩამიდგებოდა, როცა გამივლიდა წინ და ლამაზ, უმზაკვრო თვალებს დამაცეცებდა, – ამბობდა ტყეში მწვანე და ყვითელი ხავსით შემოსილი კლდე, მუხისა და წიფლის ფესვებით დაშანთულ-დახლართული.

ირმებს, მოკლულის ამხანაგებს, ვინ მოაცლიდა სატირლად, დამფრთხლები გარბოდენ, თავის სიცოცხლე ჰქონდათ საზრუნავად. ტყეში შაშვმაც რომ გააფაჩუნოს, იმათ სიკვდილად ეჩვენებათ. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდენ, ყურებს აცქვეტენ – სმენას იმახვილებენ. ნიავსა ჰყნოსვენ; ადამიანის სუნი მგლისაზე მეტად აშინებთ... ტყე ტიროდა...

დიდრონი მუხის ჩრდილოში სუფრა გრძლად იყო გაშლილი, სუფრის ნაპირები აეყვავებინა ჩამწკრივებულ ხალხს – კაცს და ქალს. იყო სმა-ჭამა, დიდი ქეიფი, ჭიქების ჯახა-ჯუხი, მრავალჟამიერი, არხალალო-ვარხალალო ისმოდა. მღერას მოჰყვა კვალად თამაში, სიცილ-ხარხარი. მზე დასავლეთისკენ გადიწურა; საღამო ახლოვდებოდა; მონადირენი შინ წასასვლელად გაემზადენ; ქალები ურემში ჩალაგდენ; ვაჟები ცხენებზე ამხედრდენ. თოფებს, რამდენადაც შესაძლებელი იყო, კოხტად იკიდებდენ; ყოველი მათი მიმოხვრა უსიტყვოდ შემდეგს გამოსთქვამდა:

„ჩვენ ნადირის მკვლელები ვართ, ძალიან მარჯვედ თოფის მსროლელნი და იმიტომ კაი ბიჭებიო!“

წავიდენ მონადირენი შინ იმ ფიქრით, კიდევ როდისმე სწვეოდენ ტყეს და ერთი ირმის მაგივრად ორი, სამი მოეკლათ. დაბრუნდენ შინ მონადირენი კმაყოფილნი, მხიარულნი. დარჩა ველი ობლად, ზედ მხოლოდ ნაცეცხლარი ეტყობოდა, სადაც ერთი საათის წინად ცეცხლი გიზგიზებდა და ზედ ხის შამფურებზე აგებული ირმის მწვადი იწვებოდა; სადაც გრძლად სუფრა იყო გაშლილი და ქალ-ვაჟის სიცილ-ხარხარი, მხიარულება ისმოდა. აქა-იქ ირმის გამოხრული ძვლები ეყარა, ადამიანის კბილის შემდეგ, ძაღლების ნახრავი. ტყე კი ტიროდა და ამბობდა:

„ვაჰმე, ჩემო სახელოვანო შვილო, ბორჯავ, როდისღა აღვზარდო შენისთანა შვილი, რქითა და ტანით დამშვენებული; შენით ვამაყობდი და დღეის შემდეგ, ვისითღა ვიამაყო?!“

Telegram-ის დამფუძნებელს ასზე მეტი შვილი ჰყავს

ცნობილი სოციალური პლატფორმის დამფუძნებელმა, პაველ დუროვმა განაცხადა, რომ ის ასზე მეტი ბავშვის ბიოლოგიური მამაა. „როგორც ეს შესაძლებელია კაცისთვის, რომელსაც ცოლი არასოდეს ჰყოლია და მარტო ცხოვრებას ანიჭებს უპიერატესობას“, – წერს ის საკუთარ პოსტში. დუროვი ამბობს, რომ 15 წლის განმავლობაში, ის სპერმის დონორი იყო. პირველად ასეთი თხოვნით მას მეგობარმა მიმართა, რადგან მას და მის მეუღლეს შვილი არ უჩნდებოდათ. „როცა მივხვდი, რომ ეს სერიოზული თხოვნა იყო, დახმარებაზე დავთანხმდი“, – ამბობს ბიზნესმენი. მოგვიანებით მას კლინიკის ხელმძღვანელმა უთხრა, რომ მსოფლიოში მაღალი ხარისხის დონორული მასალის დეფიციტია და დუროვმა გადაწყვიტა, სპერმა რეგულარულად ჩაებარებინა, რადგან ეს მის „მოქალაქეობრივ ვალად“ მიაჩნდა. მისი დონორული მასალა 12 ქვეყანაში, ასზე მეტ წყვილს დაეხმარა, მშობლები გამხდარიყვნენ. დუროვი ახლა თავისი დნმ-ის კოდის გასაჯაროვებას აპირებს, რომ ბიოლოგიურ შვილებს ერთმანეთის პოვნაში დაეხმაროს.

კანი, როგორც დისპლეი



იაპონელმა სწავლულებმა ულტრათხელი მოქნილი ფენა შექმნეს, რომლის დახმარებითაც შეგვიძლია საკუთარი კანი თხევად-კრისტალურ დისპლეიდ ვაქციოთ. ფენის სისქე სულ რაღაც 0.003 მილიმეტრს შეადგენს, რაც 13-ჯერ თხელია ადამიანის თმაზე. მისი დაკვრა კანზე პირდაპირ შეიძლება და ის არავითარ დისკომფორტს არ ქმნის. კანზე დატანილი ამ ფენის მეშვეობით შესაძლებელია, მაგალითად, გულის კუნთის კუმშვის სიხშირის გაკონტროლება, სისხლში ჟანგბადის დონისა და სხვა მრავალი პარამეტრისთვის თვალ-ყურის დევნება. „ელექტროკანი“ აღჭურვილია სენსორებით, ასევე დისპლეით, ორგანულ დიოდებზე, რომლის მაჩვენებლები კანზე წითელი ან მწვანე ფერით ნათდება. სხვა მსგავსი საფარებისგან განსხვავებით, ახალ გამოგონებას შეუძლია რამდენიმე საათი კი არა, დღეები იმუშაოს. როგორც იაპონელი გამომგონებლები აცხადებენ, მათ ინოვაციას შეუძლია თამამად შეცვალოს პოპულარული ფიტნეს-სამაჯურები, ასევე გამოიყენონ სამედიცინო მიზნებისთვის.

„წყნარი ვაგონები“ კომფორტისთვის

ბელგიის სარკინიგზო ოპერატორი SNCB აპირებს, საქალაქთაშორისო მატარებლებზე, ეგრეთ წოდებული, წყნარი ვაგონები გაუშვას. მგზავრები, რომლებიც ასეთ ვაგონში აიღებენ ბილეთებს, უნდა შეეცადონ, არ დარეკონ მობილურებზე და არ უპასუხონ ზარებს, დაბალ ხმაზე უსმინონ ყურსასმენებით, რათა გარშემომყოფები არ შეაწუხოს მუსიკამ, ტელეფონები უხმო რეჟიმზე უნდა დააყენონ და დაბალ ხმაზე ილაპარაკონ. „წყნარი ვაგონები“ უკვე დაიტესტა ბრიუსელსა და ლუქსემბურგს შორის მოძრავ მატარებელზე. სარკინიგზო კომპანიის წარმომადგენლების თქმით, ასეთი მგზავრობა დიდი წარმატებით სარგებლობს. გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ათიდან შვიდი ბელგიელი მგზავრი მატარებლებში ასეთი წყნარი ზონების არსებობას უჭერს მხარს. ათიდან სამმა კი განაცხადა, რომ უფრო ხშირად იმგზავრებდნენ მატარებლით, თუკი იქ „წყნარი ვაგონები“ იქნებოდა. მატარებლები „წყნარი ზონებით“ უკვე მოძრაობენ ავსტრიაში, პოლონეთში, ნიდერლანდებსა და გერმანიაში.

ჯიუტობამ შედეგი გამოიღო

ინგლისელების ოჯახმა, რომელიც მთელი 30 წლის განმავლობაში ლატარეას თამაშობდა და ერთსა და იმავე რიცხვებს ავსებდა, ჯეკ-პოტი მოიგო. როგორც BBC წერს, 87 წლის ოდრი კობმა და მისმა სამმა შვილმა მილიონი გირვანქა სტერლინგი მოიგეს. ისინი ჯიუტად წერდნენ ერთსა და იმავე – 5, 9, 18, 44, 58 და 34 რიცხვებს და როგორც იქნა, სანატრელი შედეგიც დადგა. უფროსი შვილის, დევიდის გადაწყვეტილებით, ისინი თანხას თანაბრად გაინაწილებენ და თითოეული 250 ათას გირვანქას მიიღებს. მისი თქმით, ეს წარმოუდგენელი მომენტი იყო. ახლა მოგებული ფულით უფროსი და, კეროლი სახლს იყიდის, უმცროსი სანდრა კი – ავტომობილს. დევიდმა და დედამისმა ჯერ ვერ მოიფიქრეს, რაში დახარჯავენ კუთვნილ ფულს.

მესის ვილა დაარბიეს

ეკოაქტივისტებმა ესპანეთში სახელგანთქმული ფეხბურთელის, ლიონელ მესის 11 მილიონ ევროდ შეფასებული ვილა დაარბიეს. ინციდენტი კუნძულ იბიცაზე მოხდა. მოძრაობა Futur Vegetal-ის წარმომადგენლები არგენტინელი სპორტსმენის სახლის ტერიტორიაზე შეიჭრნენ და შენობის ფასადი წითელი და შავი საღებავებით დასვარეს. მათ ფოტოც გადაიღეს ლოზუნგით ხელში, რომელზეც მოწოდება იყო: „დავეხმაროთ პლანეტას“. როგორც Le Parisien-ი წერს, ეკოაქტივისტებს ამ გზით, კლიმატური კრიზისის პირობებში, მდიდრების პასუხისმგებლობაზე ყურადღების მიპყრობა სურდათ.

ლუდი გულის დაავადებების რისკს აქვეითებს

ქარვისფერი სასმელის მცირე რაოდენობა გულის დაავადებების რისკს ამცირებს, – ასეთ განცხადებას აკეთებენ იტალიელი სწავლულები. მათ 15 000-მდე ადამიანის მონაცემები გააანალიზეს და დაადგინეს, რომ დღეში ორი პატარა ქილა ლუდის დალევა არა მხოლოდ არ ვნებს ჯანმრთელობას, არამედ, გულისა და სისხლძარღვების დაავადებების განვითარებას 25%-ით უშლის ხელს. ალკოჰოლი და ლუდის სხვა კომპონენტები ორგანიზმზე პოზიტიურ გავლენას ახდენენ. სუსტი სქესის წარმომადგენლებს შეუძლიათ თამამად მიირთვან დღეში ერთი ქილა, ხოლო მამაკაცებმა – ორი ქილა ისე, რომ არაფერი ავნონ საკუთარ ჯანმრთელობას. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებსაც ალკოჰოლის მოხმარებიდან გამომდინარე, სიმსივნის განვითარების მაღალი რისკი აქვს. დანარჩენებს კი შეუძლიათ ლუდის დადებითი ეფექტი შეიგრძნონ, რომელიც მდიდარია ფენოლური შენაერთებით. ეს ნაერთები გამოირჩევიან ანტიოქსიდანტური და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებებით. სწავლულთა თეორიებით, ქარვისფერ სასმელს სხეულის ვირუსებისგან დაცვაც შეუძლია.

სუნამო ოთხფეხა მეგობრებისთვის

ცნობილმა იტალიურმა ბრენდმა – Dolce & Gabbana-მ, სუნამო ძაღლებისთვის შექმნა. პარფიუმს Fefé უწოდეს. როგორც ჟურნალი Vogue წერს, სუნამო არ შეიცავს სპირტს, სამაგიეროდ, სანდალოზის ხის, მუსკუსისა და ილანგ-ილანგის არომატები სასიამოვნოა, როგორც ცხოველებისთვის, ასევე ადამიანებისთვისაც. პარფიუმის შემქმნელები გვარწმუნებენ, რომ არომატები მოიწონეს ეთოლოგებმა (ცხოველთა ქცევების მეცნიერულად შემსწავლელები, – რედ.), ვეტერინარებმა და ძაღლების მფლობელებმაც. ოთხფეხებისთვის განკუთვნილი სუნამო მწვანე ფლაკონშია ჩამოსხმული და მას მკვეთრი წითელი თავსახური აქვს. ფლაკონს 24-კარატიანი ოქროთი დაფერილი თათიც ამშვენებს. პარფიუმის ღირებულება 99 ევროა.

მარილის ალერნატივა შექმნეს

პროდუქტები მარილის ნაკლები შემცველობით, შესაძლოა, სასარგებლოა, მაგრამ ნაკლებგემრიელია. ახლა შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს – სწავლულები აცხადებენ, რომ მათ შეძლეს მარილიანი გემოს მიღება ნამდვილი მარილის დამატების გარეშე. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ახალი ტექნოლოგიით მომზადებული პროდუქტები სასიამოვნო გემოსი იყო. ახალი ნარევი, რომელიც სტანდარტულ მარილს ცვლის, მეტწილად, კალციუმის ქლორიდისგან შედგება. ის ვაშინგტონის უნივერსიტეტის სწავლულებმა შექმნეს. მოხალისე-დეგუსტატორებს ასეთი „მარილით“ შეგემებული წყალი და ტომატის სუპი გაასინჯეს, რომელთაც მისი სასიამოვნო გემო აღნიშნეს.

ხელოვნური კანი შექმნეს

ამერიკელმა სწავლულებმა, ჰარვარდის სამედიცინო და მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტებიდან, ელასტიური ფენა შექმნეს, რომელიც დატანისას არა მხოლოდ ამცირებს ნაოჭებს და ჩაშავებულ თვალის უპეებს, არამედ, აუმჯობესებს კიდეც ეპითელის მდგომარეობას, მისი მუდმივი დატენიანების გამო. კანზე დატანილი მასა შრება და ახალგაზრდა ადამიანის კანივით გამოიყურება. ეს სინთეტური მასალა ბიოლოგიური კანის იმიტირებას ახდენს და ჰაერგამტარ დამცავ ფენას წარმოადგენს. პოლისილოქსანური პოლიმერის ფენა ლაბორატორიაში სილიკონისა და ჟანგბადისგან მიიღეს. ამჟამად პროდუქტის ავტორები განიხილავენ მისი კომერციული გამოყენების შესაძლებლობასაც. ის შეიძლება მზის სხივებისგან დამცავ ფენად, ან გარკვეული სახის წამლების დოზირებისთვისაც გამოიყენონ. სწავლულთა თქმით, ხელოვნური კანი თითქმის უხილავია, ის შეიძლება ადამიანმა მთელი დღის განმავლობაში ატაროს, ის არ რეაგირებს ოფლისა და წვიმის წვეთებზე. თუმცა, გამოგონების ავტორები აღნიშნავენ, რომ „კანის“ კომერციული წარმოებისთვის დამატებითი კვლევებია საჭირო და პოლიმერი ქვეყნის მარეგულირებელმა ორგანოებმაც უნდა მოიწონონ.

სიმსივნის დამარცხებაში ბოლოკი დაგეხმარებათ

დიეტოლოგები გვირჩევენ, გაზაფხული-ზაფხულის რაციონში აუცილებლად ჩავრთოთ ბოლოკი. ცოტამ თუ იცის, რომ ის სუპერპროდუქტის წოდებას იმსახურებს. ბოლოკი ყველაზე უფრო ნოყიერი ზაფხულშია, თუმცა მასში ძალიან ცოტა კალორიებია. ეს ბოსტნეული დაგეხმარებათ ხველების დროს, რომელიც გაციებას ახლავს თან, ამასთან ბოლოკი ააქტიურებს იმუნიტეტსაც. ფიტოქიმიური ნაერთები, რომლებსაც ბოლოკი შეიცავს, ანტისიმსივნური თვისებებით გამოირჩევიან. მასში ბევრი „ცე“-ვიტამინი და ის ნოვთიერებებია, მათ შორის, კალიუმიც, რომელიც წნევას აქვეითებს. იმის გამო, რომ ბოლოკი უჯრედისის დიდი შემცველობიტაც გამოირჩევა, ის შეუცვლელი პროდუქტია დიაბეტიანებისა და გართულებული კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მქონე ადამიანებისთვის. სხვათა შორის, ბოლოკი კოსმეტიკურ საშუალებადაც შეიძლება გამოვიყენოთ, თუკი წვრილად დაჭრილს ან გახეხილს სახეზე ნიღბად დავიდებთ. „ცე“-ვიტამინის წყალობით, ასეთი ნიღაბი კანს აახალგაზრდავებს და ელასტიურს ხდის.

სუში – ბიომეტრიული მონაცემებით

ამომავალი მზის ქვეყანა რომ დანარჩენ პლანეტაზე რამდენიმე ნაბიჯით წინ არის, ეს არაერთხელ დაამტკიცეს ახალი ტექნოლოგიებითა და ინოვაციებით. ამჯერად იაპონელებმა გადაწყვიტეს, მათი ერთ-ერთი პოპულარული კერძი – სუში დახვეწონ. შესაძლოა, ვიღაცას ფანტასტიკის სფეროდ მოეჩვენოს, მაგრამ ერთმა ადგილობრივმა სტარტაპმა წარადგინა პროექტი Sushi Singularity – რესტორანი, სადაც კლიენტებს პერსონალიზებული სუშის მირთმევა შეეძლებათ. მას მსურველის ჯანმრთელობისა და ბიომეტრიული მონაცემების შესახებ ინფორმაციის გათვალისწინებით დაამზადებენ. პროექტი ჩაფიქრებულია, როგორც რევოლუცია კვების სფეროში. რესტორანი ყოველ კლიენტს გარანტიას მისცემს, რომ საჭმელი, რომელსაც შესთავაზებენ, მისი ორგანიზმის მოთხოვნილებას სრულად დააკმაყოფილებს და კვებითი ღირებულებებითაც შესაფერისი იქნება. საამისოდ, ტრაპეზის წინ, სტუმრებმა საკუთარი ბიოლოგიური მონაცემები უნდა ჩააბარონ. მათი შესწავლის შემდეგ სპეციალისტები პერსონალურ სუშის დაბეჭდავენ, სამგანზომილებიან პრინტერზე. საკითხავია, მოისურვებენ თუ არა კლიენტები საკუთარი ბიოლოგიური მონაცემების გამჟღავნებას იმისთვის, რომ უფრო ნოყიერი სუში მიირთვან, ვიდრე ჩვეულებრივი?! თუკი პროექტის ავტორების გეგმები განხორციელდა, რესტორანი Sushi Singularity ტოკიოში წელს გაიხსნება.

პაციენტი ლუდით გადაარჩინეს

ვიეტნამელმა ექიმებმა მამაკაცის სიცოცხლე იხსნეს, რომელიც კლინიკაში ალკოჰოლური მოწამვლით შეიყვანეს. ავადმყოფი მძიმე მდგომარეობაშ რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. მის სისხლში მეთანოლის დონე ნორმას 1119-ჯერ აჭარბებდა. ჩანს, მან დიდი რაოდენობით უხარისხო სასმელი დალია. მამაკაცს 0.3-ლიტრიანი სამი ქილა ლუდი დაალევინეს, მასში ეთანოლის-მეთანოლის ანტიდოტის შემცველობის გამო. ამის წყალობით, მამაკაცი გონს მოვიდა. შემდგომი 12 საათის განმავლობაში, პაციენტს საათში ერთხელ, ერთ ქილა ლუდს ასმევდნენ, პარალელურად კი სისხლს უწმენდნენ საშიში ტოქსინებისგან. ამგვარი მკურნალობის შემდეგ ავადმყოფი სრულიად გამოჯანმრთელდა და სამ კვირაში კლინიკიდანაც გაეწერა.

ათწუთიანი ბეთჰოვენი ინსულტს აგარიდებთ

ოქსფორდის უნივერსიტეტის სწავლულებმა დაადგინეს: განმეორებადი ათწამიანი რიტმი, რომელიც ისეთ კლასიკურ მუსიკალურ ნაწარმოებშია, როგორიც არის ჯუზეპე ვერდის „V� Pensiero“, ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია და ჯაკომო პუჩინის „Nessun Dorma“, არტერიული წნევის დარეგულირებას უწყობს ხელს და თავიდან აგაცილებთ გულსისხლარღვთა დაავადებებს. პაციენტისთვის საკმარისია, დღის განმავლობაში, მხოლოდ ათი წუთით მოისმინოს ამგვარი მუსიკა. ოცწლიანი გამოკვლევების შედეგები უნივერსიტეტის ცნობილმა კარდიოლოგმა, პიტერ სპეიტმა წარადგინა. მეცნიერის თქმით, კვლევებისას პოზიტიურ ეფექტს მხოლოდ ეს ზემოთჩამოთვლილი ნაწარმოებები იძლეოდნენ. როკ-პოპ და სხვა კლასიკური მუსიკა კი მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენდა პაციენტების მდგომარეობაზე და პირიქით, მათ გულის კუმშვის სიხშირესაც უმატებდა.

სიზმრებით დიაგნოსტიკაც შესაძლებლია?

ბრიტანელმა სწავლულებმა ლაფბოროს უნივერსიტეტიდან სიზმრების სამედიცინო ახსნა შეადგინეს, რომელიც გარკვეული შინაარსის სიზმარსა და დაავადებას შორის კავშირს აღწერს. მაგალიტად, ხშირი კოშმარები, როგორც აღმოჩნდა, იმ ადამიანს ესიზმრება, რომელსაც შაკიკი, გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიები აწუხებს ანდა ბეტა-ადრენობლოკატორების ჯგუფის პრეპერატებს იღებს. როგორც წესი, კოშმარები ძილის დროს, ტვინში სისხლის მიწოდების გაუარესებას უკავშირდება, – ამბობენ მეცნიერები. სწორედ ეს არის მიზეზი საშინელი სიზმრებისა. ხშირად ცვალებადი სიზმრები – ოთახში ძალიან მაღალი ან დაბალი ტემპერატურის შედეგია. გარდა ამისა, არცთუ იშვიათად, სიზმრების სიხშირე დამოკიდებულია ანტიდეპრესანტების მიღებაზე ან ზურგზე, წელსა და სახსრებში ქრონიკულ ტკივილებს უკავშირდება. მძიმე სიზმრები, რომლებშიც ადამიანი ვინმესგან გაქცევასა და თავის გადარჩენას ცდილობს, ალცჰაიმერისა და პარკინსონის დაავადების ნიშანია. ასეთი სიზმრები ნერვული სისტემის პათოლოგიის განვითარების მანიშნებელი შეიძლება იყოს. თუმცა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, შესაძლოა, მსგავსი სიზმარი ნორმა იყოს გადაღლილობის ან ძლიერი ემოციური განცდების გადატანის დროს. ალკოჰოლის მიღება, მწვავე ინფექციური დაავადებები და თავის ტვინზე ტოქსიკური ზემოქმედების სხვა ტიპები აშკარა, მკვეთრი სიზმრების მიზეზი ხდება. ეროტიკული ხასიათის სიზმრები, მკვლევართა განცხადებით, ჩვეულებრივ, არ უკავშირდება ადამიანის სექსუალურ სურვილებს. ხშირად, ასეთ სიზმრებს ხანდაზმულები ხედავენ და ის განპირობებულია ტვინის მაღალი კრეატიულობით.

კიბოს საწინააღმდეგო ანტიბიოტიკი შექმნეს

მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა პირველად შექმნა სიმსივნის საწინააღმდეგო ნივთიერება, რომელსაც კედარციდინი ჰქვია. ეს ნაერთი ეფექტურია კიბოს უჯრედებთან ბრძოლაში, ასევე ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადი ბაქტერიების წინააღმდეგ. მკვლევარებმა კედარციდინის მოლეკულური სტრუქტურის დადგენა, ბუნებაში მისი აღმოჩენიდან ათი წლის შემდეგ შეძლეს. ის, დაახლოებით, 30 წლის წინ, ინდოეთში აღებული ნიადაგის ნიმუშიდან გამოყვეს. აღმოჩნდა, რომ ნაერთი მაღალი ბიოლოგიური აქტივობით გამოირჩევა და მიკროორგანიზმების დნმ-სა და კიბოს უჯრედებში დნმ-ის დაზიანებას იწვევს, რითაც ხელს უშლის მათ შემდგომ ზრდას. თუმცა, მისი რთული სტრუქტურის გამო, დიდი ხნის განმავლობაში, მეცნიერებმა ვერ მოახერხეს ამ ნივთიერების ლაბორატორიაში მიღება. სპეციალისტების თქმით, ამჯერად მიღებული შედეგებით, ახალი თაობის ანტიბიოტიკებისა და სიმსივნის საწინააღმდეგო აგენტების შემუშავება უკვე შესაძლებელია.

პოლიციელი ქვეშევრდომებს ძალით აჭმევდა

იაპონიის პოლიციის სერჟანტმა თანამდებობა მას შემდეგ დატოვა, რაც გაირკვა, რომ ის საკუთარ ხელქვეითებს, დაბალი რანგის ოფიცრებს, ძალით აჭმევდა საჭმელს. „ძალადობაში ბრალდებული“, 40 წლის მამაკაცი აცხადებს, რომ ის თავის ოთხ თანამშრომელს აიძულებდა, სხვადასხვა კერძები უზარმაზარი პორციებით მიერთვათ, რათა ამ გზით „გამობრძმედილიყვნენ“. გარდა ამისა, ხელმძღვანელს სურდა, ხელქვეითების სახეზე უკმაყოფილო გამომეტყველებისთვის მიეღწია. უფროსის მიერ შეთავაზებულ საკვებში კი, რომელიც ოფიცრებს უნდა ეჭამათ, შედიოდა 15 ჰამბურგერი, 15 ღვეზელი, 3-4 ლიტრი რძიანი ყავა, 4 ჯამი სწრაფი მომზადების შემწვარი მაკარონი. ამასთან, საკვების საფასური პოლიციელებს თავად უნდა გადაეხადათ. უცნობია, ვინ „ჩაუშვა“ „ბოსი“, რადგან თავად ხელქვეითები არ ჩიოდნენ მის სასტიკ მოპყრობაზე.

სიცოცხლის ხანგრძლივობას ტემპერატურა განსაზღვრავს

სწავლულებმა დაადგინეს, რომ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე გავლენა არა მეტაბოლიზმს, არამედ, სხეულის ტემპერატურას აქვს. ადამიანები, რომელთაც სწრაფი და რისკის შემცველი ცხოვრების წესი აქვთ, უფრო ხშირად ხვდებიან ავარიებში და გარდაცვალების რისკიც, რასაკვირველია, იზრდება. ბიოლოგიაში კი, იგივე პროცესი ასე მიმდინარეობს: ცხოველები, რომელთაც მეტაბოლიზმის მაღალი მაჩვენებელი აქვთ, უფრო ადრე კვდებიან, ვიდრე ნელი მეტაბოლიზმის მქონენი. მართალია, კალორიების შეზღუდვა თუ ვარჯიში დაბალი მეტაბოლიზმის მაჩვენებლებს განაპირობებს, თუმცა ამას ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე დიდი გავლენა არ აქვს. მეტაბოლიზმის ეფექტისთვის, მიზეზად სხეულის ტემპერატურა ითვლება. ამის დასადასტურებლად მკვლევარებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს მღრღნელებზე. აღმოჩნდა, რომ დაბალი მეტაბოლიზმი არ ახანგრძლივებდა მათ სიცოცხლეს, მაღალი ტემპერატურა კი ამცირებდა მას. გამოდის, რომ სხეულის ტემპერატურა უფრო მეტ გავლენას ახდენს სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, ვიდრე მეტაბოლიზმის მაჩვენებლები.

საჭმელს კოვზი აგემრიელებს

ამერიკულმა სტარტაპმა – SpoonTEK, შექმნა მოწყობილობა, რომელიც ჩვეულებრივ კოვზს ჰგავს, მაგრამ ელექტრონული შიგთავსი და ელემენტი აქვს. ერთი ელექტროდი სახელურის ქვედა ნაწილშია, მეორე კი გაჯეტის შინით. რაკიღა ის კვების დროს არის გამოსაყენებელი, კოვზი საკმაოდ გამძლეა წყლისა და მექანიკური ზემოქმედებისგან. შესაბამისად, ასეთი კოვზის გამოყენება თამამად შეიძლება თხევად კერძებშიც. მოწყობილობა კი ძალიან მარტივად მუშაობს – მომხმარებელი აწვება ელექტროდს, რომელიც სახელურზეა, საკვები კი მეორე ელექტროდს ფარავს. როცა ადამიანი კოვზს პირში იდებს, იკვრება ელექტრული ჯაჭვი და ხდება მსუბუქი ელექტროსტიმულაცია ენის გემობრივი რეცეპტორებისა, რაც აძლიერებს გემოს შეგრძნებებს. იგივე პრინციპი წარმატებით გამოიყენება საკვები ჩხირებისა და კოქტეილის ბოკალებისთვის. ასეთი ელექტრული სტიმულაცია ორგანიზმს არანაირ ზიანს არ აყენებს. ავტორები გვაფრთხილებენ, რომ კოვზი ჭურჭლის სარეცხ მანქანაში არ გავრეცხოთ, მის გამოყენებას არ ურჩევენ იმ ადამიანებს, რომლებიც კარდიოსტიმულატორებსა და სხვა მსგავს მოწყობლობებს ატარებენ. სამ ფერში წარმოდგენილი SpoonTEK მყიდველისთვის უკვე ხელმისაწვდომია სტარტაპის საიტზე და ის 29 დოლარი ღირს.

წყალქვეშა სადგომი ველოსიპედებისთვის

ამსტერდამში, ცენტრალური სადგურის ახლოს, წყალქვეშა სადგომი ააშენეს ველოსიპედებისთვის. ის ამ „ჩრდილოეთის ვენეციის“ ცნობილი არხების ქვეშ მდებარეობს და ნიდერლანდების დედაქალაქს სადგომი საშუალებას მისცემს, სანაპირო ზოლიდან ათასობით ველოსიპედი მოაშოროს, რომელთაც რეგულარულად ტოვებენ მგზავრები. საკუთარ სატრანსპორტო საშუალებას იქ უფასოდ, მხოლოდ ერთი დღით შეინახავენ, მერე კი დღეში 1.35 ევრო იქნება გადასახდელი. მუნიციპალური სადგური ყველაზე ხალხმრავალი ადგილია ამსტერდამში. სადგომის წყალქვეშ ჩატანით საზოგადოებრივი სივრცე გათავისუფლდა ფეხით მოსიარულეებისთვის, ტურისტებისა და შეზღუდული უნარის მქონე ადამიანებისთვის, – აცხადებს მერიის წარმომადგენელი. ბოლო მონაცემებით, 835 ათასი ამსტერდამელი, დღეში 665-ათასჯერ მგზავრობს ველოსიპედით.

წყალმცენარეები – მომავლის სუპერსაკვები

სწავლულებმა, UCSD-ს ამერიკული უნივერსიტეტიდან, ახალი გამოკვლევის შედეგები გამოაქვეყნეს. მათი განცხადებით, წყალმცენარეებს აქვთ შანსი, უახლოეს მომავალში ნამდვილი სუპერსაკვები გახდეს. ცნობილია, რომ ამ მცენარეების სასარგებლო ბიომასა 167-ჯერ აჭარბებს სიმინდის მაჩვენებელს, თუმცა ერთსა და იგივე ფართობზე, შესაძლოა, წყალმცენარეების უფრო დიდი მოსავალი მოვიყვანოთ, ვიდრე სიმინდის. უფრო მეტიც, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მათში ცილებისა და ცხიმების დიდი რაოდენობაა, რაც წყალმცენარეებს ცხოველური საკვების უფრო ეკოლოგიურ ალტერნატივად აქცევს. სპეციალისტების თქმით, წყალმცენარეებში ათჯერ მეტი ცილაა, ვიდრე სოიოში. ევროპელმა მკვლევარებმა კი დაადგინეს, რომ მთელი „ბებერი კონტინენტის“ მომარაგება ცილებით მხოლოდ ისლანდიის ტერიტორიიდანაც კი შეიძლება, სადაც საკმაოდ იაფი და უსაფრთხო ენერგიაა და წყალმცენარეების წარმოებაც მეტად პერსპექტიული იქნება. თუმცა, ერთადერთი სირთულე მომხმარებელი და მისი გემოვნებაა, რომლის კორექტირებაც იქნება საჭირო. კერძოდ, ის მსგავსი პროდუქციის ფერს, გემოსა და სუნს უნდა შეეჩვიოს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.